„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორგი ლეონიძე



# ლიტერატურული მესხეთი

№4 (196)
აპრილი
2015 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეჩვიდმეტე წელი "LITERATURULI MESKHETI" "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"

## მესხეთის მიწა

**მარიზა ჯიქია**



**დავფურცლავ დღეებს ისტორიის, დავწურავ ტკივილს,**
**სული უსრული უხმოდ იწყებს უჩუმარ კივილს ...**

**ხსოვნის სიღრმეებს შემოსაზღვრავს ტკივილთა ჯაჭვი,**
**მესხეთის მიწას სისხლიანი ცრემლები აწვიმს!...**

**ღია ჭრილობა თავს მახსენებს ხერთვისის კართან,**
**ძლევის ჯვარს ვზიდავ მძლე თამარის უძლეველ ჯართან!**

**ქვათა მდინარეს ცხენოსანთა აწყდება რემა,**
**მერამდენეა თურქ-სელჩუკთა აქ შემოსევა?!..**

**მჟონავს სისხლი და ქვა-ღორღებში ტირიან მთები...**
**ტყვიისფერ ზეცას გადაფარავს ყორანთა ფრთები.**

**ფერდობებს ღარავს ტერასათა ურიცხვი ტევრი,**
**აჩეხილ ვენახს დასდენია გლეხკაცის ცრემლი.**

**მოვეფერები ხიზაბავრის სისხლნაწოვ მიწას,**
**ვარძიის ქვათა მოძახილი მე ხსოვნას მიწვავს!**

**ჩავუვლი ტოლოშს, სუროსავით ავყვები საროს,**
**არ განელდება ეს ტკივილი, რაც უნდა ვმალო...**

**დათოვლილ მთიდან აიჭრება ფიფქების ჭავლი,**
**სწორედ ამ მთასთან ამომყარეს მტარვალთა ჯავრი!..**

**ყარყატის ბუდე რეალობის მიბრუნებს განცდას,**
**დრომ ყველაფერი ისტორიის საცერში გაცრა...**

## ალფაბეტოფანტაზული ალენ დელონი

ახლახან მთელმა საქართველომ საზეიმოდ აღნიშნა თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო საოპერო მომღერლის, მსოფლიო ბანის პაატა ბურჭულაძის 60 წლის იუბილე. საიუბილეო საღამოზე, რომელიც მსოფლიო კინოვარსკვლავს ალენ დელონს მიჰყავდა, მსოფლიოს წამყვანი საოპერო თეატრებიდან უამრავი ჩვენი თანამემამულე - საოპერო ვარსკვლავი ჩამობრძანდა. საღამოს წინა დღეს გამოჩენილმა ქართველმა მხატვარმა რეზო (ემელიანე) ადამიამ ლეგენდარულ მსახიობს. საჩუქრად გადასცა მის მიერვე 2014 წელს შექმნილი „თეთრი მთავარ ანგელოზი მიქაელი„-ს ხატი, რომლის რეპროდუქციას აქვე გთავაზობთ.

## განცხადება

### კონკურსი ახალგაზრდა მწერლებისთვის

საქართველოს მწერალთა კავშირი, თბილისის მერიის კულტურულ ღონისძიებათა ცენტრის მხარდაჭერით, აცხადებს ახალგაზრდა მწერალთა კონკურსს - „მერანი“ (17-დან 35 წლამდე) **სამ ნომინაციაში: პოეზია, პროზა, თარგმანი.** გაიცემა სამი მთავარი და სამი წამახალისებელი პრემია.

მასალები ფოტოსა და ავტობიოგრაფიასთან ერთად გამოაგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე: merani-merani@mail.ru

მთარგმნელმა თარგმნილ ნაწარმოებთან ერთად უნდა გამოაგზავნოს ტექსტის ორიგინალი და ავტორის მცირე ბიოგრაფია.

საკონტაქტო ტელეფონი: 599 38 12 74

*საქართველოს მწერალთა კავშირი*

**ქახაბერ ჯაყელი**

(გაგრძ. დასაწყ. იხ. წინა ნომერში)

# ჯაყელთა ათასი წელი

## სულა, ბეშქენ და ლაკლაკი

სამცხის დედოფალმა, მშვენიერმა ლატავრამ, გამთენიისას ტკივილებით შობა პირველი ვაჟი. მეუღლე სალაშქროდ იყო გასული და ჩორჩანის სასახლეში, მემკვიდრის დაბადება ძელის შემოკვრით ამცნეს მესხეთის მკვიდრთ. ძელის ჩელოსავით ამოძახილივით ხმა და მისთის დამახასიათებელი „დიცცცცც“ „დიცცც“ მიწყდა ქარაფებზე შემოფენილ მესხურ ოდებს, აზნაურთა ბანებს და დიდაზნაურთა კოშკებს. ლატავრას ბრძანებით ორი მალემსრბოლი გაუყენეს გზას. ერთი ჯაყისმანის ხეობის გზით, ხოლო მეორე - სამთო ბილიკებით, რათა დარწმუნებულად ჩაეღწია ამბავს ახალშობილის მამასთან, რომელიც, სწორედ იმ წუთს, საქართველოს ყელისაკენ (ამ ადგილს ეხლა გურჯი ბოღაზი ჰქვია და ის თურქეთის ტერიტორიაზეა) მიუძღვოდა მცირე სპას, რათა მარზაპანის, ანუ მენაპირე ერისთავის ციხე შეეკეთებინა და მეციხოვნენი განელაგა იმ ადგილას, სადაც ხშირად სასაზღვრო ომები იმართებოდა ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის.

გათენდა. ჭაბუკი მირიანი დოინჯშემოჭდობილი გამოუძღვა სპას და, ოჯახიდან ახალი ამბების მომლოდინე, წარა-მარა მთებს გაჰყურებდა. სწორედ ამ დროს, რაზმეულმა, წინ, ცეცხლის ალი შენიშნა და თოროსანმა ბაჰლაუნდმა არემარეს მოავლო თვალი, მის მზერას არაფერი გამორჩებოდა, თუ არა ტყის კორომში დამალული მეისრე, რომელიც ასიოდე ნაბიჯიდან შეჰყურებდა და მის მიახლოვებას ელოდებოდა.

მირიან ბაჰლაუნდს, ისე როგორც მის წინაპრებს, უჩვეულო წინათგრძნობა ჰქონდა, მგლის გამჭრიახი ყნოსვის მსგავსი. ჟამსა ფათერაკისასა, ცხელი სპილენძივით რაღაც ჩაეღვრებოდა მკერდში და ნესტოებით გრძნობდა სუნს სისხლისას. ამჯერადაც, მთავარს, გული გადაუხურდა და ნესტოებით შეიგრძნო იმგვარი მოულოდნელობა, რამაც მას, მყისვე, გადაწყვეტილება მიაღებინა.

- ფაროსნებო, ფარები! - ბრძანა ბაჰლაუნდმა თითქოს თავისთვის და მისმა რაზმმაც ეს ბრძანება უმალ შეასრულა.

- კედელი! - ისევ გასცა ბრძანება ბაჰლაუნდმა და ტყის კორომისკენ ანიშნა ქვეითებს.

რაზმეული სწრაფად შეიმოსა ფარებით და ყველამ მშვიდად იგრძნო თავი. თავად მირიანიც ჩამოქვეითდა და მშვილდისარის გაწყობას შეუდგა.

სწორედ ამ დროს, ტყიდან, ათიოდე ისარი გამოისროლეს, უცნობები თან სტვენით გამოიჭრნენ და... მეომრების ფარებზე გაცხელებულ ტყვიასავით დაერჭვნენ.

- ფოლადის პირიანია, ბიზანტიელთა მარზაპანის რაზმია, ჩაილაპარაკა ასისთავმა გაბრიელმა.

- „აქ რა უნდოდათ ბიზანტიელებს? ეს ხომ ჯერაც ჩვენი მიწაა, ლაშქრობა ხომ არ დაიწყეს იბერიაში„? - გაიფიქრა მირიანმა და, როგორც ფალავანს შეჰკადროდა, იმგვარად, სწრაფი შეტევისთვის მზადება იწყო.

- საკატაფრაკტო ცხენი მომგვარეთ და მომყევით! - თქვა მან და საჭურველმტვირთველმა რაზმეულის უკან, კლდიანი გზის საფარში, დაიწყო ცხენის ჯავშნით გაწყობა. კატაფრაქტი, ირანული და პართიული გამოგონება გახლდათ. ეს იყო ჯავშანში ჩამჯდარი ცხენი, რომლის კანჭებიცა და მუხლებიც კი, ჯაჭვითა და რკინის ფირფიტებით იფარებოდა. კატაფრაქტს სამ მეტრიანი შუბით ერთდროულად ათი და მეტი მებრძოლის დაზიანება შეეძლო. გაშლილ ველზე კატაფრაქტების მეშვეობით სპარსელები რომაელებს და, შემდგომში, ბიზანტიელებს, ადვილად ამარცხებდნენ. მესხეთის კლდიან გზებზე კატაფრაქტი, რა თქმა უნდა, შედარებით შეზღუდული იყო თავის საშუალებებით, მაგრამ ბალღობიდანვე „წყობათა შინა“ აღზრდილი მირიან ბაჰლაუნდი ფლობდა ბაჰლაუნდთა საიდუმლო ილეთებს მტრის დამარცხებისათვის.

სულ რამდენიმე ჩქამში, როდესაც ისრებსა და ბოძალებს გამალებით უშენდა მცირე რაზმეულს მტერი, მეაბჯრე აბჯარში ჩამჯდარი ცხენით მიეჭრა ბაჰლაუნდს, რომელიც სახელდახელოდ დამზადებულ სამკუთხა კიბეზე - „ლაშქარ სანდალიეზე“ შედგა და ცხენს შემოაჯდა. ამ კიბის გარეშე კატაფრაქტზე ვერ ამხედრდებოდა. უკვე შეკაზმული კატაფრაქტი დიდი საფრთხე იყო მოწინააღმდეგისათვის, ეს ყველამ უწყოდა. ამიტომაც ბაჰლაუნდის გარშემო, მტრის მხრიდან, ისრების მერეხი თითქმის გაორმაგდა. მირიან ბაჰლაუნდის ვერცხლისფერ აბჯარს ბიზანტიური ისრები წივილით იტყორცნებოდა, მაგრამ, როგორც ნამჯა ქვაზე მიყრილი, უკანვე ისე ცვიოდა.

-ურრაჰ მელიხამნქ იავურ! - პართიულად შესძახა ბაჰლაუნდმა და მტრის რიგებისაკენ ყალყზე შემდგარი ცხენი გააქანა.

ბაჰლაუნდს მისი რაზმელებიც მიჰყვნენ და როდესაც ტყის კორომში შეიჭნენ, ბიზანტიელთა რამდენიმე მოისარი კატაფრაქტის უგრძესი შუბით განგმირულნი, დიდი მუხის ძირში დაეყარნენ. თავად, მირიან ბაჰლაუნდმა, ხის ტოტზე შემომჯდარი ერთ-ერთი მოისარი შუბის ბუნზე წამოაგო, ხოლო ეს უკანასკნელი, რომელიც მომზადებული ისრის ტყორცნას ბაჰლაუნდისათვის ლამობდა, ნაკრავი შუბისაგან მიყენებულ ტკივილს დაეუნჯებინა. ბოლო ისარიც გავარდა, მაგრამ ბაჰლაუნდის დანიშმატურმა აბჯარმა ეს ისარიც მოიგერია. ამ დროს მშვილდოსანი ხის ტოტიდან ჩამოცურდა და გაქცევით უშველა თავს.

- არ დაედევნოთ! - ბრძანა ბაჰლაუნდმა და თვალნი მოავლო მის მოწინააღმდეგეთა მიტოვებულ ბანაკს. მეომრები, რომლებიც ბაჰლაუნდის გაბედულებამ ნაკაწრის გარეშე გადაარჩინა, ტყავის აბგებს მისწვდნენ და მრავალი მათგანი იავარჰყვეს, მაგრამ მხოლოდ სანყალი მშვილდოსნების გამხმარი ჭვავის პური, ერთი-ორი მშვილდის ძუის გორგალი და მცირე მახვილები აღმოაჩინეს.

- ეს მზვერავი რაზმია, მალე უფრო დიდი რაზმიც გამოჩნდება, - ბრძანა ბაჰლაუნდმა.

მეომრები ბაჰლაუნდის ბრძანების შესრულებას შეუდგნენ. ერთმა მათგანმა ბაჰლაუნდს ტყავის აბგა მიართვა და... ბაჰლაუნდმა ბერძნული წიგნი იპყრა ხელთ. მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც წიგნის სათაური ამოიკითხა: „სულა“ ერქვა უცნობი ავტორის შრომას, ტყავზე გამოყვანილ ბერძნულ ასოებს წითელი ფუნჯით შესრულებული არშიები და ოქროსფერი ძაფით გამოყვანილი საფურცლეები ჰქონდა ჩაყოლებული.

- სულა დიდი სარდალია რომისა, - გაიმეორა ხმამაღლა მირიან ბაჰლაუნდმა და წიგნი გადაფურცლა.

სანამ მზე შუბის წვერზე დადგებოდა და აბჯარს იმგვარად გაახურებდა, რომ მასში ჩამჯდარი კატაფრაქტი თავად მოინდომებდა აბჯრის გადაგდებას და უაბჯროდ ყოფნას, მირიან ბაჰლაუნდი უკვე ცხენზე იჯდა, თან, ამავე დროს, შემოტევას ელოდა. როგორ ჩანს, მტერი მას შორიდან უთვალთვალებდა, რადგან ბაჰლაუნდთა გვარის თანდაყოლილ თვისებას, მტრის შეცნობისას, ეხლაც გამოეჩინა თავი და რაინდს ნესტოებში სისხლის სუნი სცემდა.

- ჩემო მარზაპან, მზე როდესაც აბჯრებს აგვიგიზგიზებს, მაშინ შემოგვიტევენ ბიზანტიელნი - ჩაილაპარაკა კლდის ქიმს მოფარებულმა აბჯარმტვირთველმა, რომელიც მუზარადიდან შავ თუთას იღებდა და თავის ცხენს აწვდიდა. ცხენიც თუთისაგან გაშავებული ენით ლაშებს ილოკავდა და დიდი სიამოვნებისაგან თვალებანეთებული მიელტვოდა პატრონის ხელისგულს, ხოლო, მოგვიანებით, თავად მუზარადში თავის ჩაყოფას ლამობდა.

- სტომაქი ასტკივდება შენს ულაყს, გაბრიელ, და ბრძოლის ველზე გაგიჭირდება - დაბალ ხმაზე თქვა მირიანმა, წიგნი სამკლაურში ჩაიდო და არემარეს გახედა.

გაბრიელმა უმალ შეწყვიტა ულაყის თუთით დაპურება და დარჩენილი შავი თუთა მიწაზე მოაპნია, რამაც ცხენი იძულებული გახადა მტვერში ეძებნა ტბილი და საამური საკვები. გაბრიელმა ცხენი მოდრიკა და კლდის კედელთან მიაბა, მაგრამ ულაყი გაფიცხდა და ხმამაღლა დაიჭიხვინა. რაზმელებმა სიცილი ატეხეს, რამაც გაბრიელი კიდევ უფრო გააღიზიანა და ულაყისათვის მათრახის დარტყმა გადააწყვეტინა.

- ბრძოლის წინ, ცხენის დასჯა არ ეგების, გაბრიელ, დაუნჯდით! ეხლა მოგვეპარებიან ბიზანტიელნი. ყველამ მიაშუროს თავის ადგილს და გასასვლელი კორომებიდან იმგვარად მოემზადეთ, რომ იქ ცხენოსანი გაეტიოს. - ეს თქვა მირიანმა მხოლოდ და წიგნის ფურცვლა განაგრძო.

რამდენიმე ისარი გამოისროლეს მოპირდაპირე ტყის მასივიდან და ტყის ბილიკზე მომავალი ბიზანტიელებიც გამოჩნდნენ. ისინი მძიმედ მოიწევდნენ ბაჰლაუნდის ბანაკისაკენ და ფართოდ შლიდნენ ორთავე ფრთას, რომლის შუაგულში ერთი შეაბჯრული ცხენოსანი ქმნიდა მათ ცენტრს. მწვანე მოსასხამი ეცვა ცხენოსანს და იგი ხელშუბით შეტევის მიმართულებას აჩვენებდა თავისიანებს.

- ერთი ცენტურიაა, ამგვარი ჯარისკაცებით იბრძოდა თავად იულიუს კეისარი, რომელიც ყველას ამარცხებდა, მაგრამ, სწორედ ამგვარი არმიით შემდგომი იმპერატორი ბიზანტიისა, ვალენსი, პირწმინდად გაანადგურეს შემოჭრილმა ჰუნებმა, ამიტომაც არაფრის გეშინოდეთ, ჩვენ ჰუნებზე, სპარსელებზე და ხაზარებზეც ძლიერნი ვართ, წყობათა შინა - უეცრად მოვარდნილი ქარიშხალივით იქუხა ბაჰლაუნდმა და ბრძოლაც დაიწყო.

ისრები დასცხეს ბიზანტიელებმა, მაგრამ დამხვდურნი კარგად იყვნენ გამაგრებულნი ტყის კორომში და შეტევაზე გადმოსულ ბიზანტიელებს შურდულებითა და ისრებით საქმე გაურთულეს. ერთი ბიზანტიელი დაეცა შურდულის ნატყორცნით დარეტიანებული თუ განგმირული. ერთი ჩორჩანელი მეომარი წამოაგეს ისარზე ბიზანტიელებმაც და ყიჟინა ატეხეს.

- ეხლა გადმოვლენ შეტევაზე, აბა, მოამზადეთ ჯებირები, - ბრძანა მირიანმა და ბიზანტიელთა შემოტევის მოლოდინში გაბრიელს გადახედა, რომელიც თავის ულაყს ეფერებოდა ...

- წარმართიაო, ამბობენ, გაბრიელი! - გაახსენდა მას ვიღაც ჩორჩანელის ნასაუბრები, რომელიც ყველას უამბობდა, რომ გაბრიელს ცხენთა ენა ესმოდა და ძაღლებთანაც კი საუბრობდა.

შემოტევა დაიწყო, ბერძნებმა შეჰყვირეს თავისებურად და იბერიელთა აფაფრული მწყობრის დასაშლელად და გასანადგურებლად გრიგალივით გამოიჭრნენ, მაგრამ აღმართულმა ჯებირებმა და, მათ შორის, გადაჭიმულმა ჯაჭვებმა, ბაგირებმა თუ ორმოებმა, თავისი გაიტანეს და ბიზანტიელები შედრკნენ. მათ წვერ-წამახვილებული მარგილები დახვდათ წინ, ალაგ-ალაგ ბადეები. ბერძნებს ფეხის გულებს მინდორზე ფართოდ მოყრილი ობსიდიანის ნატეხები დაუსერავდა და მათგან შეტევის მიმართულების შეცვლას გამოიწვევდა უთუოდ. სწორედ ამ დროს, შეისუნთქა გამარჯვების ჟინი მირიან ბაჰლაუნდმა და მან თავის აბჯარში ჩამჯდარი ცხენი იმ ერთადერთი გასასვლელისაკენ დასძრა, რომელიც, მისივე ბრძანებით, ღიად დატოვეს, მაგრამ კარგად შენიღბეს ჩორჩანის მეომრებმა. მირიან ბაჰლაუნდი, გადახურებულ აბჯარში ჩამჯდარი, უგრძესი შუბით კორომის სამხრეთის კარიდან, კლდიდან დაგორებული ლოდის სისწრაფით, დაიძრა. მისი ცხენის ფლოქვები გამომშრალ მიწაზე, ქვის ეროს გრდემლზე დაჯახების ხმას იწვევდა, არემარე მტვერში გაეხვია და მირიან ბაჰლაუნდმა, როცა სიჩქარეს უმატა, ბერძნებს მოეჩვენათ, რომ მათზე მთელი ცხენოსანთა ათასეული მოიწევდა.

მირიან ბაჰლაუნდმა არც კი მიაქცია ყურადღება, მარტივ სამიზნეებს, ბერძენთა მოშიშვლებულ თავებს ერთი გადახედა და, რადგან მისი აბჯარასხმული ცხენის დანახვისას ყველა გარბოდა, მაშინვე შუბი სტრატეგოსისაკენ მიმართა, რომელიც, თითქოსდა, მშვიდად, მაგრამ დაბნეული თვალებით, იყურებოდა მის მიმართულებით.

როცა სტრატეგოსი მიხვდა, კატაფრაქტი ჩემსკენ დაიძრაო, უკვე გვიანი იყო. მან იარაღის შეცვლაც კი ვერ მოასწრო და სტრატეგოსი მოკლე ხელშუბის ამარა დარჩა, გაიელვა მისმა ბუნმა, რომელიც ამ უკანასკნელმა, შეტევაზე გადასულ რკინაში ჩამჯდარი კენტავრის წინააღმდეგ გაისროლა. ხელშუბმა ოდნავ გაჰკრა მირიანის მუზარადის მოოქროვილ ბუნს, მაშინ, როცა ბაჰლაუნდის უგრძესმა შუბმა, საარაკო ძალით დაჰკრა სტრატეგოსის სამკერდე თორს, შეანგრია აბჯარი და გაერჭო ბიზანტიელს. მირიანმა მკერდში შუბი შეატოვა მოწინააღმდეგეს, მისი ცხენის სადავე გაგლიჯა, კბილებით იპყრო ის და ხმალშემართულმა ბერძნებისკენ გაქუსლა. დაახლოებით ასმა თუ ასორმოცდაათმა ბერძენმა მკვირცხლად, სირბილით დატოვა ბრძოლის ველი. ბიზანტიელთა წყობაზე მირიან ბაჰ-

გაგრძელება გვ.9 ▶

# ჯაყელ - ათაბაგთა სამხედრო თავგადასავალი

(ნაწყვეტი ისტორიული რომანიდან)

# ლეილა ჯახველაძე

## მამული

ხინჯი არ გაქვს, უზადო ხარ,
გულს გაბნიე გიშრის ბროში, -
მტერმა ავად არ გაგთვალოს,
არ მომტაცოს ოქროს ქოში.
გუგულს მრავლად ვხვდები, ჩვენში
ბუკიოტი ბუდობს სხვენში,
იხლართება სხივი ბნელში, -
სიტყვას ვაბამ ცალუღელში...

## სიყვარულის წილ

ბევრი რამ არის, მოლოდინი ამშვენებს რასაც,
ერთი, პატარა ცისარტყელა ამშვიდებს ცასაც;
უფრო მეტია, ცხენს ამოსდებ
სასწრაფოდ რახტსაც
და უმეტესის გაოცებით დარჩები სახტად.
ბევრი რამ არის, ღირს სიცოცხლე
და თავდადება;
უფრო  მეტია მდურვა, წყენა, არმად აგება.
სიყვარულის წილ, აი, უფრო რამ დამაღონა -
შოლტი, მათრახი და ბალღამის არმაღანებამ.
ეს სიბნელეა, შეუძლია შემშალოს რამაც
და  ქარიშხალი!- როს ღმუილით
ცას აყრის ნაცარს.
კაცი, გონებადალურსმული,
ფარფატებს სადღაც,
სირეგვენის და თავხედობის აუშვებს აფრას!...
თუ სიმშვიდეა, წუთი მოკლედ როგორ ითქმევა?
თუ ტკივილია, მაშინ წლებიც კუპრში ინთქმევა,
თუკი შეძელი სიყვარულის სანთლად ანთება,
წუთისოფელი, აი, მაშინ არ გათავდება.

## თავკვეთულას ნისლები

მტკვარზე ბონდი
გაბმული -
ბმაა
მომლოცველების,
მთებს სხეპავენ
სექტემბრის
მზის მცხუნვარე
ცელები.
თავკვეთულას ნისლები -
მანდილის ნახევები...
ჯვარს იწერენ
ღვთის ნებით,
ბუმბერაზი ხევები.
...მიხმობს
ტაოს ტინები,
ვულკანური
ჯინები,
მთების თხემზე
(სფინქსივით)-
ანტიკურ
თოჯინებით.
მტკვარზე ბონდი
გაბმული,
კლდეში სვეტი
სინათლის -
ბმაა ფიქრთა დინების
და  სულის ნადიმების.

## ქართლში დავიბადე

ქართლში დავიბადე,
ქართლის პური მერგო,
აქ მოვტკეპნე ბანი
და უგანო ერდო,
აქ მოვნიე ბადე...
და ლექსს გული ენდო;
მიზეზს ვეძებ, ცისკრის
სხივი დავიბედო.
ჩემო თრიალეთო,
კავკასიის ქედო,
თქვენი მირონ-მადლი
ხელისგულზე მედო;
თქვენი პულსი ვთვალე
არაგვო და თერგო...
რვა მზე ჩამოვქარგე,
მეცხრე ცაზე ენთო...
ყველა ჩამოვთვალე
რაც სიკეთე მერგო,
მე, ნესტანი ქაჯებს,
როგორ დავანებო?!

* * *

ვიდრე ნამი შეშრობია
ჭადრის ახალნაბად ფოთლებს,
- ცა, ყველაზე უკეთ მოჩანს...
ვერ გადავშლი ახლა ბოდლერს...
სარკმლის მიღმა, ნამგალები
გარს უვლიან საყდრის ლოდებს,
ამ, ულმერთო, აყვავებით
ტყემლის,
შეშლილ ქარს აბოდებს...
მე თუ შემშლის ერთი ლექსი!
ერთ ლექსს ქარიშხალი მოსდევს...
აბა, ვინმე გაუმკლავდეს
შოთას ,,ვეფხისტყავისოდენს“!..

* * *

ფარავანო,
ვერ ფარავო...
მაგ დარდს
როგორ დაფარავო?
ხერთვისს ციხე დაცემულა,
ქარი
როგორ დაქარავნობს...
ფარავანო,
მტკვარს გაჰყევი,
თქვი
საქმენი საარაკო...
ძველ დიდების
ამბავს გკითხავთ
ხერთვისისას
- საარაგვო...

## გაზაფხული

დედოფალივით მობრძანდებოდა,-
ჰყვაოდა ნუში,
თითქოს არც იყო ყინვისაგან
ძლეული გუშინ,
აფათურებდა ხელებს, ქარი
ძვრებოდა სულში...
ეს გაზაფხული მეფერებოდა,
მიკრავდა გულში.
დედოფალივით მობრძანდებოდა,-
ჰყვაოდა ნუში...

## საშშობლოვ

მინდა,
შენს მხრებზე
მწუხარების ნისლი
ავყარო!
არდახანებით,
ძილ-მღვიძარი
შევძრა
სამყარო -
იმ გმირთა
გრგვინვით,
-საქართველოს
ცა
რომ ინახავს...
-მეწიოს ჟამი,
და შენ მზის ქვეშ
ლხენდე ინახად!

## მესხეთში

ვინ დარგო ჯახველი?
ნამი ვინ ასხურა?
კუნელი, ასკილი?
და კიდევ ასყურა!
ჭულევი აყრილა!...
ფერსათი დახრულა,
-ფოცხოვი შემორბის
ისევე მაყრულად!

# დედა ელენე (ნანა ბერაია)

## დილის იდილია

ლურჯი ცა და დილის ნამი,
მოკაშკაშე ვითარც ბროლი,
მაღლა ცაზე ბარჩხალა მზე
დაბლა მოგოგმანე გნოლი.
ხის ტოტიდან მომზირალი
მზით დაწნული ჩიტის ბუდე,
აქ ნიბლიას  დაჭორფლილი
სამიოდე კვერცხი უდევს.
ცაცხვის  ოქროს  ყვავილებში
მოფუსფუსე ფუტკრის ჯარი,
გაზაფხულმა სიხარულით
შემოაღო მწვანე კარი.
ტყე ხარობს და შარიშურობს,
ირგვლივ სურნელს აფრქვევს ია,
მერცხლის ჭიკჭიკს, შაშვის ჭახჭახს
მოჰყავს დილის იდილია.

## სქანი გოლუაფირო

მინდა ისევ მომეფერო,
ჩემო თეთრო აპრილო,
მინდა ერთხელ მაინც მითხრა -
სქანი გოლუაფირო*.
მინდა გული ამიჩქარო,
ჩემო სულის ნაპირო,
ყურში ნაზად ჩამჩურჩულო -
სქანი გოლუაფირო.
მინდა ხშირად  მამსგავსებდე
ოქროსა და საფირონს,
სიკვდილის წინ მაინც მითხრა:
სქანი გოლუაფირო.
მინდა შენი ცრემლი გამყვეს,
გზაზე ია აფინო,
უკან მოჰყვეს შენი კვნესა,
სქანი გოლუაფირო.
მინდა ღამე შენთან დავრჩე,
გული აცრემლ-ატირო,
და მალ-მალე ჩამჩურჩულო:
სქანი გოლუაფირო.
მერე? მერე წადი ჩემო,
ოხვრა არც დააპირო,
მე დამრჩება სამუდამოდ, -
სქანი გოლუაფირო.

*** სქანი გოლუაფირო - შენ შემოგევლე (მეგრ.)**

# რამაზ ბერაძე

## ვაიპარადოქსი

"პერიფრაზებით"
ვწერ გაშმაგებით -
სულამღვრეული.
დრომ შემომარტყა ალყა არყოფის,
დაშრა კალამი, თეთრი რვეული
დავწვი,
არ ვნანობ,
რადგან, გამყოფი
ვერ გადავშალე ფარს-ნაჭუჭ-ზღვარი,
ადამისავე გამონაგონი...
და, ჰყვირის ცეცხლი თავგამოდებით -
"მე რომ მეგონა, არ სჩანს საშველი“ -
უსაშველობით არ სჩანს გამგონი.
მიწას არ ესმის ზეცის გოდება -
ვერ შემწვდებიო ცოდვის გოდოლით...
დაღლა დაეტყო რადგან სტრიქონებს -
უბრალოდ, ყოფანა არჰყოფნის სუნთქვა.
ნუთუ, დრო თავად გამოვიგონე
და რაც ვთქვი,
ისიც ამაოდ ითქვა...
ამოვაყოლე კვამლს ცისკენ გული -
თამბაქო იწვის თავის ნებაზე,
მართლად თქვი -
"ერთი ყლუპი ბინული"
სულს დაამშვიდებს გაოგნებამდე.
მაგრამ, სად არის საშველი, დახსნა
კაცის კაცობა... კრახია სრული...
ვერ მოვუძებნე აუხსნელს ახსნა,
ვერ ვუსაშველე რადგან ცრუ სურვილს...
გამაოგნებლად ყალბი ნოტებით
უკრავს გულს იმ ზე ყალბი ზნეობა,
რატომ აჰყევი თავგამოდებით,
რა ძალა გყოფნის,
რა გამძლეობა.
თორემ, მე,
მერა, ჩემთვის მოვკვდები,
შენ რა გიშველის,
საოცარია...
შევცქერი სიკვდილს, ვუთვლი ნაბიჯებს,
უფრო ის მიკვირს, რომ
აღარ მიკვირს
რით უძლებს მიწა ამდენ ნაბიჭვარს,
ანდა, ვინ შობა ამდენი ბრიყვი,
რომ ვერ იოკებს ხარბ სურვილს,
უძღებს,
მზე ნათელს ჰკლავს და
იფიცებს ცრუ მზეს...
ვწერ გაშმაგებით -
დაწვამდე ვწერ და,
დრომ შემომარტყა ალყა არყოფის,
ვწერ,
შემდეგ ვხევ და
ამხელა სევდას
რომ გავუმკლავდე
ძალა არ მყოფნის...

## ორი მე

**(ერთი ჭიქით)**

შემოათენდა ფურცელს,
გაუთენები ღამე,
ოცნებას, რამდენს ვუძლებთ
“მე-მე“ და კიდევ “სხვა-მე“.
ერთად ვაბოლებთ, ვთვრებით,
პრიმას, არაყს ვსვამთ თანაც,
ნუგზარი, ლაშა... ძმები
დილის რიჟრაშში ჩანან.
შემომელია მიწა,
უკვე ახლოა “მანდეთ“,
სიკვდილმა დამაფიცა
სიცოცხლის უნდა მწამდეს.
შემოათენდა ფურცელს -
მივქრი, არ ვათრევ ღამეს...
-როგორ გასულა, უცებ.
ეს, ჩამჩურჩულებს “სხვა-მე“...

## თამარ!

**(თამარ ლომიძეს)**

იქ,
სადაც ლექსად აწვიმს ტილოზე
სტრიქონი -
ფერთა აცისკროვნება,
იქ,
სადაც ყალბად ვერ გაიოცებ,
იქ,
სადაც მიწა ერწყმის მზე ზეცას,
იქ, დგას პოეტი, კალამით, ფუნჯით, -
სტრიქონით გვათბობს, სულს გვიფერადებს,
ნიმბუსადა დგას ცა ლურჯზე ლურჯი,
პოეზიაა მისთვის ყველა დღე!..
მოლბერტად გიდგას მზე - მიწისგული,
გასცქერი წარსულს... რწმენით მომავალს,
მიიღე ჩემგან ეს თაიგული,
სულით პოეტო,
უბრალოდ - თამარ!..

## დროა ?!

ბებერ მუხას მოსტყდა ტოტი -
ნამეხარს და
ყოფით დაღლილს,
საქართველოვ,
მუხა თუ ხარ,
თუ, არ დაშრა ერის ძარღვი -
თუ, კი, ისევ, ნაკადულად
დასაღვრელი,
უკვე  დაღვრილს
შეერწყმება,
სისხლი წმინდა -
მამულისთვის, სამსხვერპლოზე,
მაშინ, ვიტყვით -
გამობრწყინდა
იბერიის მზე - იბერის,
გონს მოვეგოთ,
ოღონდ, დროზე,
დროზე მრავალჟამიერი...
მანამდე,
ხელი ხმალს იკარ
ქართველო,
ბრძოლის დარია,
გაკაფვა უნდა ნარ-ეკალს,
ნეტავ ჯერ რა გვიხარია...
დროზე გონზე!.. გონზე, დროზე!
სულ სწრაფია დრო -
არ იცდის...
მართალია, არსად მიდის -
გველის და
დგას...
დგას და,
გველის,
არ სჭირდება ფიცი - მტკიცი,
მწარე სიმართლეა, რადგან...
მაგრამ, ბიჭო, ჰაი გიდი,
ბრმა სოფელი არის ჭრელი...
ჰოდა, თვალი ავახილოთ -
ბებერ მუხას მოსტყდა ტოტი,
არ დაჟანგდა - მწამს, მახვილი,
კვლავ გაიშლება ყლორტი...

## გადასვლა

გათენდა...
და, ისევ
მივათრევ საწუთროს...
საწუთროც მიმათრევს?
თუ,
უკვე მიგანა.
ნაპრალზე ასხლეტილ ფიქრს
ვეღარ ვაურვებ,
ვერწყმი დროს უდროოს
და ვგრძნობ
კვლავ იქა ვარ
საიდან, თავიდან, ოდესღაც მოვედი...
იკვრება წრე ჩემში -
ვხვდები და
ვმშვიდდები,
თურმე,
"არაფერი“ ყოფილა ყოველი
და ამ "არაფერში"
"ყველაფრად“ ვმკვიდრდები.
არაფერ-ყველაფერს -
დიადს, განუზომელს
(არ გინდათ, ბატონო,
ნუ წაიქილიკებთ,
შეცნობის საზღვარზე
გავყურებ შეცდომებს),
მზერას გავუსწორებ,
ვუთვლი მაჯისცემას,
ცრუ ცრემლი ასველებს
ამ სოფლის ბილიკებს,
იქით კი...
ვულიმი
- მიმიღებ?

,,განთიადისას გაშალა მიწამ ნისლიანი თეთრი მკლავები და ამით, ალბათ, ჩემი მოსვლა ზეცას ახარა. მე ვარ გოდერძი ჩოხელი, ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანი, დავიბადე საქართველოს მთაში, გუდამაყრის ხეობაში. ჩემს სოფელს ჩოხი ჰქვია, ჩემს სალოცავს - ჩოხის წმინდა გიორგი. გუდამაყრის ხეობაში შავი არაგვი მოდის, ჩემს სულშიც მოდის ხშირად შავი არაგვი, ოღონდ, არა ბოროტად, კეთილად მოედინება. მიყვარს ჩემი სამშობლო. ამჟამად ვცხოვრობ თბილისში, რა თქმა უნდა, თბილისი მიყვარს, მაგრამ დღემდე ვერ შევეგუე, აქ რაღაცნაირად შებორკილი ვარ, თავს ლაღად ვერ ვგრძნობ. სწორედ ჩემზეა ნათქვამი: ,,ირემო, მთასა მყვირალო, რამ ჩამოგაგდო ბარადა?“ - ბედისწერამ, ბედისწერამ ჩამომაგდო, ალბათ. მყავს მეუღლე - ნინო და ორი ვაჟი - ლუკა და ნიკა“ (წიკლაური, 2006: 13-14-15)

1954 წლის 2 ოქტომბერს დაიბადა გოდერძი ჩოხელი. მისი დაბადება ისეთივე რთული ყოფილა, როგორიც მისი ცხოვრება. სოფელი ჩოხი წმინდა ადგილად იყო მიჩნეული, სწორედ ამიტომ მშობიარე ქალები სხვა სოფლებში მიდიოდნენ ხოლმე... გოდერძის დედაც ასე წასულა სხვა სოფელში. გზაში დახმარება მეცხვარეებისთვის უთხოვია, მათ კი უარით გამოუსტუმრებიათ მელოგინე ქალი... რა იცოდნენ, რომ იმ წამებში კიდევ ერთი დიდი ქართველი ევლინებოდა ქვეყნიერებას... ასე დაიბადა გოდერძი საქონლის სადგომში... ორმოცი დღის განმავლობაში ჩვილი და დედა არ დაბრუნებულან ჩოხში.

ნამოიზარდა მთის შვილი და სოფლის სკოლაში მიიყვანეს, შემდეგ სწავლა ფასანაურის საშუალო სკოლაში განაგრძო, მოგვიანებით ჩაბარა თბილისში, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში... და აი, აქედან დაიწყო ყველაფერი... თუმცა, ამაზე ოდნავ მოგვიანებით.

ჯერ კიდევ ფასანაურის სკოლის მოსწავლე იყო, როცა პირველად ნახა კინო... ვიღაცას უთქვამს, ფილმს იმხელა ხმა აქვს, დაგაყრუებსო... გოდერძიც მთელი ფილმის განმავლობაში ყურებზე ხელაფარებული იჯდა და უყურებდა გამოსახულებებს... მერე უფიქრია, აბა, გავიგო რას ამბობენო და ცალ ყურზე ხელი მოუშორებია... ,, გოდერძი, შვილო, გოდერძი“! - ეს სიტყვები გაიგონა და ეგონა, რომ მას ეძახდენენ. არადა, ამ დროს, ეკრანზე ,,ჯარისკაცის მამა“ გადიოდა. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ კინომ მართლაც დაუძახა მას.

გოდერძი ჩოხელი უნიკალური ფენომენია ქართულ ხელოვნებაში. დავესესხები აკაკი ხინთიბიძეს, რომელიც მან გრიგოლ რობაქიძის შესახებ გააკეთა, რადგან, ვფიქრობთ, რომ ეს სიტყვები გოდერძი ჩოხელსაც მიესადაგება - გოდერძი ჩოხელი არ იყო ორდინარული მოვლენა ქართულ ლიტერატურაში. მისი შეფასება ღირებულებათა გადაფასებას მოითხოვს. გოდერძი ჩოხელი, პოეტი, გვერდს უმშვენებს გოდერძი ჩოხელს - პროზაიკოსს, გოდერძი ჩოხელს - კრიტიკოსს, გოდერძი ჩოხელს - კინორეჟისორს, გოდერძი ჩოხელს - სცენარისტს. გრიგოლ რობაქიძის შემდეგ ასეთი მრავალმხრივი მოღვაწე იშვიათია მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში და სრულიად თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ,,ასეთი თანაბრად ძლიერი ძალისხმევა სიტყვიერი შემოქმედების სხვადასხვა სფეროში - ნიშანდობლივი ევროპის გამოჩენილ მწერალთათვის, ჩვენში ილია ჭავჭავაძისეული მასშტაბურობის გამოვლენა იყო“ (რობაქიძე 2004: 17).

გოდერძი ჩოხელის შემოქმედება კომპლექსური მეცნიერული კვლევის საგანი დღემდე არ გამხდარა. აშშ-ს ჯორჯ ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი - პიტერ როლბერგი წერს: ,,1980-იან წლებში გოდერძი ჩოხელი გადაიქცა ერთ-ერთ ყველაზე ორიგინალურ მწერლად და კინორეჟისორად. ფილოსოფიური ძიების ინტენსივობა და მისი მსოფლმხედველობის ორიგინალურობა უდავოდ შეუნარჩუნებს გოდერძი ჩოხელს ადგილს თანამედროვე და მომავალ მკითხველ საზოგადოებაში. მისი შემოქმედების ერთიანობის ანალიზი და კვლევა წარმოადგენს ნამდვილ და ღირსეულ გამოწვევას ქართული კულტურის მკვლევარებთათვის“ (როლბერგი, 2012: Rollberg Peter, ,,The Natural: Goderdzi Chokheli in the 1980“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ,,გოდერძი ჩოხელი - შემოქმედება საზღვრებს გარეშე“. სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი, 2012 წ. გვ. 37-51).

გოდერძი ჩოხელი საყურადღებო მწერალია იმ თვალსაზრისითაც, რომ მის ნაწარმოებებში ჩანს ეპოქის ყველა მნიშვნელოვანი პრობლემა და იგრძნობა არაერთი აქტუალური თეორიისა და ტენდენციის კვალი, რაც მის შემოქმედებას ქართული ლიტერატურის ისტორიაში უაღრესად მნიშვნელოვანს ხდის. ამ ყველაფერს მწერალი პერსონაჟების ხასიათების, მათი შინაგანი სამყაროს, სუბიექტური პერსპექტივის უკეთ წარმოსაჩენად აკეთებს. ნაშრომში ჩანს, რომ სწორედ ამიტომ მისი გმირები, ერთი შეხედვით, უბრალო, ფართო განათლებული მოკლებული, თუმცა, ხშირად, ტრაგიკული შინაგანი ბუნების მქონე ადამიანები, პიროვნებები არიან, რომელთაც ცხოვრებისეული გამოცდილება უბიძგებს, ფილოსოფიური სიღრმეებით მიუდგნენ საკითხებს. რა თქმა უნდა, ეს არ არის ფილოსოფიური მოძღვრებების ცოდნის შედეგად განხორციელებული ქმედებები ან ფილოსოფიური დოქტრინების ჩამოყალიბების პროცესი. შესაბამისად, ჩოხელის გმირების ფილოსოფიაც ერთობ თვითმყოფადია და იშლება ხალხში საუკუნეების მანძილზე დაგროვილი სიბრძნის გამოვლინების სახით; იშლება იმ პერსონაჟების პირით, რომლებიც, მოულოდნელად, ხშირად გაუცნობიერებლადაც ავითარებენ მეტად საინტერესო ფილოსოფიურ მსჯელობას. კიდევ უფრო საინტერესო ისაა, რომ ამ პერსონაჟთა უმრავლესობას პროტოტიპი ჰყავს და, შესაბამისად, მათი ფილოსოფიაც მათივე სამყაროს რეალობიდან არის ამოკრებილი: ,,პროზაიკოსი უნდა ესწრაფოს, პირველ ყოვლისა, ცხოვრებისეულ სიუჟეტებს, რადგან ყოველი აზრი, მედიტაცია, სიმბოლო თუ ალეგორია ემყარება ამბავს, ეფუძნება რეალურ მასალას, რაც ისევე მარადიული და აუცილებელია, როგორც მიწა სიცოცხლისთვის“ (სიგუა, 1994: 403).

„მე მიყვარხართ, მიყვარხართ, რადგან მიყვარს ღმერთი და ღმერთმა თქვენთან ერთად მარგუნა სიცოცხლე დედამიწაზე. მინდა კიდევ დიდხანს ვიცოცხლო, ოღონდ აზრიანად, საქმიანად და არა ისე, როგორც ამჟამად, როცა ყველა გზა ჩაკეტილია.

მე რისი უნარიც მომცა ღმერთმა, იმისი მადლობელი ვარ, რაც შემიძლია, იმას ვაკეთებ. ვერ წარმომიდგენია სხვანაირად გოდერძი ჩოხელი. სახარების ყოველი წაკითხვის შემდეგ მგონია, რომ უკეთესი ვხდები. ხოლო, ვაჟა-ფშაველას მთელი შემოქმედება სახარებასავითაა“ (ნ.ზედელაშვილი, ,,ნაწილიანი“, თბ., 2012 წ.).

გოდერძი ჩოხელს ვაჟა-ფშაველასთან საკმაოდ ხშირად ადარებენ, მეტიც, მას თავადაც არაერთგზის აღუნიშნავს, რომ თავს ვაჟას მემკვიდრედ მიიჩნევდა; ეს პოზიცია ზოგჯერ შემოქმედებაშიც აქვს გაშლილი, მაგალითად, ლექსში ,,ტყვია“ წერს:

„ვაჟას ნაქონი ტყვია ვარ,
ჯერ თოფში გაუსროლელი“...

მართლაც, უზარმაზარია მსგავსება მათ შემოქმედებაში განფენილ სულისკვეთებას, თემატიკასა თუ სტილს შორის, თუმცა საკმაოდ დიდია განსხვავებაც და მკვეთრი ინდივიდუალიზმიც იმ განუმეორებელი ხიბლით, რომელიც გოდერძი ჩოხელის მთელი შემოქმედების თანამდევია. სწორედ ასეთი კეთილშობილური გავლენები აყალიბებენ საბოლოოდ ღირსეულ მწერლებს. ათეული წლების განმავლობაში ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან მტრული, ტენდენციური დამოკიდებულების შეცვლის შემდეგ, პოეტის დაბადებიდან 100 წლისთავის ზეიმი იყო ქართული პოეზიისა და თვითონ ვაჟა-ფშაველას დიდი გამარჯვება. ვაჟას ლექსებისა და პოემებისადმი ინტერესი არნახულად გაძლიერდა, რაც ხელს უწყობდა მთიელთა ახალ-ახალი თაობების შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენასა და მოძალებას პოეზიაში, რომელთაგან ბევრმა ნათელი კვალი დაამჩნია ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებას“ (ინაური, 2011: 39).

და მაინც, „ვინ არის გოდერძი ჩოხელი - რეალისტი? რომანტიკოსი? ფსიქოლოგი? ეთნოგრაფი - ყოფითი მწერალი? თუ კიდევ სხვა რაღაც, რაც დღემდე ვერ გაგვიგია, როგორც თავის დროზე დაემართა ვაჟას, რომელსაც ხან ლექსს უწუნებდნენ, ხან ენას და ხანაც იმ სამყაროს, რომელიც მან ქართველ მკითხველს აღმოუჩინა. თაობების წინათ მივიწყებული და გოდერძი ჩოხელის მიერ ხელახლა აღმოჩენილი ქართული მთა იმდენად გასაოცარია, რომ ბევრმა ვერც კი გაიცნობიერა იგი, ეუცხოვა, ფანტაზიად მოეჩვენა და მწერალს მიწაზე დაშვება ურჩია. გოდერძი ჩოხელი, როგორც შემოქმედი, ყველა ლიტერატურულ მიმართულებას ენათესავება, რაც კარგია ამ მიმართულებებში. თუმცა, როდესაც მწყურვალი კაცი მთის ანკარა წყაროს წყალს სვამს, რომელ ჭკუათმყოფელს მოუვა აზრად ამ წყლის ქიმიური ანალიზის ჩატარება? დიდებულია! დალიე და შეგერგოს! და არც ის დაივიწყო, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არის ასეთი წყაროები. ერთი ასეთი წყარო გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაა“.

რა თქმა უნდა, ვეთანხმებით ქალბატონ მაია წიკლაურის ზემოთ მოყვანილ შეფასებას და, მაინც, თუ ჩვენი კვლევა ,,ანკარა წყაროს ქიმიურ ანალიზს“ წააგავს, თავს იმით ვიმშვიდებთ, რომ მარტოოდენ კეთილი სურვილი გვამოძრავებს და იმ მწყურვალთა დაკვალიანება გვსურს, რომელთაც ამ ანკარა წყაროსთვის ჯერ ვერ მიუკვლევიათ. განიხილავს რა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებას წერილში ,,ახალი ნაკვალევი“, გურამ ბენაშვილი წერს: ,,გულწრფელად მინდა განვაცხადო, რომ გოდერძი ჩოხელის სამყარო სრულიად ახალია და, ამდენად, თვალისმომჭრელიც... ჩვენი თვალსაწიერი აქ იმგვარი ემოციური ინფორმაციებით იტვირთება, რომელსაც ადეკვატი არც კი მოეპოვება...“ (2005: 204-205).

გოდერძი ჩოხელის შემოქმედება გამოირჩევა მრავალმხრივობით და, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ერთი და იგივე მოთხრობა შესაძლებელია იყოს რეალისტურიც და ირეალისტურიც, ტრაგიკულიც და კომიკურიც, მართლმადიდებლურ-ქრისტიანული მრწამსისა და წარმართული რიტუალების დამაუნჯებელიც, რაც, ბუნებრივია, დიდხანს ვერ დარჩებოდა შეუმჩნეველი ვერც საზოგადოებისთვის და ვერც სამეცნიერო წრეებისთვის.

,,მე რომ წერა დავიწყე, ძალიან უხაროდა ძია იაშას. ეს თითქოს მეც გადმომედო და რამეს რომ დავწერდი, სულ ვფიქრობდი, ამას რომ ძია იაშა წაიკითხავს, რას იფიქრებს, თუ გაეხარდება-მეთქი. წერის დროს აღტკინებული ვიყავი. ძია იაშა ჩემს მოთხრობებს მხატვრულად კითხულობდა რადიოში. მერე მოინდომა ჩემი მოთხრობის მიხედვით პიესის გაკეთება. არ დასცალდა...“ - იგონებდა მწერალი (გაზ. ,,კვირის პალიტრა“,,,ამბები გოდერძი ჩოხელის ცხოვრებიდან...„: 10/05/11)

ძია იაშას არ დასცალდა, მაგრამ თავად შექმნა ქართული კინოს შედევრები... სრულიად საქართველოს და არა მარტო საქართველოს მოასმენინა საქართველოს მთის, გუდამაყრის, გულის ფეთქვა.

მთაზე და ადამიანზე უზომოდ შეყვარებული ჩოხელი თავის ჩანაფიქრს წინადადებებად ალაგებდა და უკვდავ მოთხრობებს ქმნიდა. ბევრს წერდა სიცოცხლეზე, სიკვდილზე, ადამიანთა სევდაზე, სიყვარულზე... მას სტკიოდა თითოეული ადამიანის ტკივილი, მთელი დედამიწის ტკივილი...

ერთ-ერთ ინტერვიუში გოდერძი ჩოხელი საოცარი დამაჯერებლობით ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას სულის უკვდავების თაობაზე: ,,მჯერა, რომ არის იმქვეყნიური ცხოვრება, სული არც კვდება და არც იბადება. სული რომ იბადებოდეს, მაშინ მოკვდება კიდეც. სული მარადიულია, ღვთიურია, ღმერთმა ჩაგვბერა და როგორ შეიძლება, რომ ღმერთის სული კვდებოდეს“? (ჟურნ. ,,კარიბჭე“, 2011. 60). ხოლო მეორე ინტერვიუში, მწერალი საოცრად ღრმად და, ამავდროულად, საოცრად მარტივად აყალიბებს სულის უკვდავების უცილობელ პირობას, რომლის გარეშეც თავად სულის უკვდავების არსი აბსოლუტურად გაუგებარი რჩება: ,,მეც ძალიან მაინტერესებს სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა. ჩემი ტკივილი და მარად უპასუხო კითხვა ის არის, რომ, თუ ადამიანის სულს, გულსა და გონებას იმქვეყნად არ ემახსოვრება, ვინ იყო ამქვეყნად, რა სტკიოდა, რაზე ფიქრობდა, ვინ და რა უყვარდა, მაშინ რაღა გაგრძელება იქნება?! მაშინ ის იგივე ადამიანი აღარ არის და აბსოლუტურად სხვა ვინმეა. მინდა, იმქვეყნად წასულ კაცს ისე ახსოვდეს ეს ქვეყანა და ისე ფიქრობდეს, როგორც აქ ფიქრობდა: ისევე უყვარდეს, როგორც აქ უყვარდა: ისევე განიცდიდეს, როგორც აქ განიცდიდა. მაშინ აქვს, ჩემი აზრით, ყოფნას გაგრძელება“ (ჟურნალი ,,კარიბჭე“,2006 :13). ციტატაში გამოხატულია მწერლის დამოკიდებულება სიკვდილისა და სიცოცხლის ერთსახოვან ფენომენად აღქმის შესახებ, გოდერძი ჩოხელს დაუშვებლად მიაჩნია „ჯაჭვის ჩაწყვეტა“ სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის და რაიმენაირი შეცვლა მათი თანაარსებობისა, ვინაიდან ეს არის ერთი რეალობის - არსებობის, ორი მხარე.

ჩოხელის ფიქრები წუთისოფელზე სხვადასხვა წიგნად იკინძებოდა, ძალიან მალე კი სევდის რაინდმა საყვარელ გმირებს სული ჩაუდგა და ახლა ეკრანიდან აალაპარაკა. გოდერძი ჩოხელი თავის გუდამაყრელ გმირებთან ერთად ქართულ კინოში 70-იან წლების ბოლოს მოვიდა, მოსვლაც უცნაური იყო ისევე, როგორც ადამიანი. 30 წლის განმავლობაში გადაიღო 17 სრულმეტრაჟიანი ფილმი. „კინო ჩემი ბედისწერაა, ჩემი ლოცვაა“, - ხშირად ამბობდა ხოლმე.

1972 წელს ჩააბარა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში, კინომცოდნეობის ფაკულტეტზე, 1974 წლიდან კინოსარეჟისორო ფაკულტეტზეა, რომელიც 1979 წელს დაამთავრა. იმავე წელს მიიღეს კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ დამდგმელ რეჟისორად.

1980 წელს გამოიცა მისი პირველი წიგნი „წერილი ნაძვებს“, რომელსაც მიენიჭა წლის საუკეთესო წიგნის პრემია. 1981 წელს იგი რუსულ ენაზე ითარგმნა. გოდერძი ჩოხელს გამოცემული აქვს ლექსებისა და მოთხრობების კრებულები: „ბინდისფერი სოფელი“, „„თევზის წერილები“, „შემინახე, დედაო მინავ“!, „„სულეთის კიდობანი“, „არჩევნები სასაფლაოზე“; ლექსების კრებული „ბედი მდევარი“ და მოთხრობების კრებული „შავი არაგვი“, რომელიც იტალიურ ენაზე ითარგმნა.

შემდეგ იყო „ადამიანთა სევდა“, „ლუკას სახარება“, „სამოთხის გვრიტები“, „სიყვარულის ცეცხლი“ და სხვა მრავალი. სწორედ „სიყვარულის ცეცხლი“ გაგვიცოცხლა ეკრანზე გუდამაყრელმა 2003 წელს და ამით დაასრულა თავისი შემოქმედება.

მისი შემოქმედების შედეგი იყო გრან-პრი ფილმისათვის „აღდგომა“ ობერჰაუზენის საერთაშორისო კინოფესტივალზე (1982 წელი); „ვერცხლის ნიმფა“ და საერთაშორისო კათოლიკური ეკლესიის პრიზი ფილმისთვის „ცოდვის შვილები“ მონტე-კარლოს კინოფესტივალზე (1991 წელი); იაპონიის კინოფესტივალის ჟიურის სპეციალური პრიზი (1991 წელი); პრიზები საუკეთესო სცენარისათვის და საუკეთესო რეჟისურისათვის თბილისის „ოქროს არწივის“ ფესტივალზე (1992 წელი); გრან-პრი ანაპის ფესტივალზე „კინოშოკი“ ფილმისათვის „სამოთხის გვრიტები“ (1997 წელ); პრიზი საუკეთესო სცენარისათვის ანაპის ფესტივალზე „კინოშოკი“ ფილმისათვის „ლუკას სახარება“ (1998 წელი).

“ - სიკვდილისა გეშინია?

– რატო მეშინია?!

– რატომ არა?

– იმიტომა რომა, სიკვდილი ვალია, უნდა მოიხადოს კაცმა თავისი ვალი“ - წერდა მწერალი (,,ადამიანთა სევდა“, ფილოსოფოსის რვეულიდან. გვ. 37)

2007 წელს ჩოხელმაც მოიხადა თავისი ვალი, მაგრამ ნაადრევად. მე მგონია, რომ ეს იყო შემთხვევა, რომელიც შეიძლებოდა არ მომხდარიყო. ქართველ ხალხს შეეძლო გადაერჩინა მისი სიცოცხლე... თუმცა ამ ყველაფერზე საუბარს აზრი აღარ აქვს... ქართულმა ლიტერატურამ თუ კინომ დაკარგა უდიდესი შემოქმედი - სახელად გოდერძი ჩოხელი. სამზეოს იყო და ყველაფერი უყვარდა: ნაძვიცა და კესანეც, ბილიკიცა და გულთაბოძიც. ეს კი ისეთი ბედნიერებაა! სულეთს გავიდა და მჯერა, იქაც სიყვარულით სავსეა. ჩვენთვის ხილული დარჩა მისი დედამიწაზე გატარებული 53 წელი. მთლიანად, ცხადია, ვერც ერთი წიგნი ვერ მოიცავს კაცის ცხოვრებას, მაგრამ ის ამბები, რომლებიც გოდერძიმ გაიხსენა თავის წარსულზე და რომლებიც სულ მალე წიგნად გამოიცემა, კიდევ ერთხელ დაგაბრუნებთ მისი ცხოვრების ამაღლებულ უბრალოებაში.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედება ლიტერატურის მკვლევართათვის უდიდესი მასალაა, თუმცა, სამწუხაროდ, საფუძვლიანი და ვრცელი მოცულობის ნაშრომი, რომელიც გააანალიზებდა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებას და გააერთიანებდა მისი შემოქმედების ცალკეულ ასპექტებს, აქამდე არაა შექმნილი. მართალია, არსებობს მრავალი ცალკეული სტატია სხვადასხვა მიმართულებისა და ტენდენციის შესახებ, თუმცა ერთიანი და კომპლექსური კვლევის ჩატარების აუცილებლობა თავად გოდერძი ჩოხელის შემოქმედებითმა სიღრმეებმა გვიკარნახა.

**ანა მელიქიძე,**
**თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი**

# საღამოს საღ წაიყვან...

მესხეთში, ასპინძის მუნიციპალიტეტში, არის ერთი მრავალჭირგამოვლილი სოფელი ზველი. ოდითგანვე, აქაური მოსახლეობის დიდ ნაწილს, ზედგინიძეთა გვარი შეადგენს, ხოლო მცირედი - დიასამიძეები და ინასარიძეები...

რა არ უნახავს ამ სოფელს, თურქთა სამასწლოვანი მძიმე უღელი, საშინელი 1918-1920 წლები, მშობლიური კუთხიდან აყრა-გაქცევები, ტიფი, შიმშილი...

ერთმა ნაწილმა, იმ არეულობის დროს, საბოლოოდ მიატოვა მამაპაპური კერა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჰპოვა ნავსაყუდელი, ხოლო მცირედმა, ბედის ირონიით, დედა-სამშობლოს გაცლა ამჯობინა.

ამ გადახვეწილთა შორის ზველელი დევანოზ ზედგინიძეც აღმოჩნდა. ეს ისტორია ასე დაიწყო;

1929 წელს სოფელი დატოვა ახალგზრდობის შვიდკაციანმა ჯგუფმა, რომელშიც დევანოზ ზედგინიძეც იყო. მათ მშვიდობიანად გადალახეს თურქეთის საზღარი და სტამბოლში ჩავიდნენ. შევნიშნავთ, რომ იმ პერიოდში, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ახლად შესულ საქართველოს თურქეთის საზღვარი სუსტად ჰქონდა გამაგრებული და ნებისმიერ ადამიანს შეეძლო საქართველოდან თურქეთში გადასულიყო და - პირიქით. მოგვიანებით, მეორე მსოფლიო ომის მოახლოებამ, თურქეთის ანტისაბჭოურმა პოლიტიკამ და ომის შემდეგ „ცივმა ომმა“, სამხრეთ საქართველოს საზღვარი საკმაოდ გამაგრებულ ზონად აქცია. აწყურს აქეთ, სამცხე-ჯავახეთსა და საქართველოში მცხოვრებ მოსახლეობას პასპორტისა და სპეციალური საშვის გარეშე არ შეეძლო შესვლა და გამოსვლა.

და აი, იმ დროს, სამცხე-ჯავახეთიდან სტამბოლში მიმავალ ამ ჯგუფს, ერთი კაცი გამოაკლდათ გზაში. ის მოულოდნელად გარდაიცვალა. ამის შემდეგ ორი კაცი სტამბოლში დარჩა, ხოლო ოთხი - დევანოზ ზედგინიძე და მისი სამი მეგობარი, გემით, სამხრეთ საფრანგეთის ქალაქ მარსელში ჩავიდნენ.

რამ აიძულა დევანოზი, სამშობლო, ქვეყანა მიეტოვებინა, დღემდე უცნობია. მხოლოდ ახლო ნათესავთა გადმოცემით ვიცით, რომ 1903 წელს, სოფელ ზველში, ევგენი და ანა ზედგინიძეების ოჯახში დაბადებულა იგი და მაიკო. ის ახალციხის მილიციის თანამშრომელი გახლდათ. მისი გამგზავრება უცხოეთში იმდენად გასაიდუმლოებული და მოულოდნელი ყოფილა, რომ ახლობლები გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩენილან. უფრო მეტიც, მისი გამგზავრება თვით საცოლითვისაც არ ყოფილა ცნობილი (საცოლე მოგვიანებით მონაზვნად აღიკვეცა).

ბუნებრივია, მილიციის თანამშრომლის ამ ქმედებას, რომელსაც თვითონ უნდა დაეცვა საბჭოთა მართლწესრიგი, ხელისუფლების მხრივ, მის ოჯახზე, ზეწოლა მოჰყოლია, დაუპატიმრებიათ დევანოზის ძმა ევგენი. ის, როგორც ძმის, ვითომდა ხელშემწყობი და დანაშაულის თანამონაწილე, სამი დღე წყლით სავსე კარცერში ჰყოლიათ დამწყვდეული. ეგნატე მხოლოდ მაშინ გაათავისუფლეს, როცა ახალციხის რაიონის სოფელ მინაძეში დევანოზის მიერ დეიდაშვილთან დატოვებული იარაღი და ფორმა ჩააბარეს მილიციას.

წარმოვიდგინოთ 1929 წელი: ევროპაში დიდი ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებს. კრიზისს ვერც საფრანგეთი ასცდა. უმუშევრობა, შიმშილი, გაჭირვება, ქვეყნის ყოველდღიურ წესად იქცა. ამ ფონზე ნათელია, რა დღეში ჩავარდებოდნენ ენის უცოდინარი, მიუსაფარი, ფრანგებისთვის სრულიად უცხო, ჩვენი თანამემამულენი.

თავის გადარჩენის მიზნით დევანოზ ზედგინიძეს იდეა გასჩენია - მაწვნის ბიზნესისთვის მოეკიდა ხელი. საქმე ამ მხრივ კარგად წასვლია. ხელმოცარულს ცოტა სული მოუთქვია, მაგრამ, საუბედუროდ, თავისი ალალმართლობით, მაწვნის რეცეპტის საიდუმლოება ერთი ადგილობრივი სამლოცველოს მონაზონისთვის გაუნდია. მონაზონს ამ საიდუმლოებით უსარგებლია და მაწვნის ბიზნესს შესდგომია, რის შედეგადაც კონკურენტულ პირობებში დევანოზ ზედგინიძეს ბიზნესი ჩაუვარდა. ამის შემდეგ ის გადასულა სტრასბურგში. აქ თავი მოუყრიათ მის თანამემამულეებს - შალვას, ილიას და თედორეს (ილიას, როგორც ამბობენ, სოფელში დარჩენია ახალგაზრდა მეუღლე

ევანოზ ზედგინიძე მეუღლესთან - მარია ანტუანესასთან

და მცირეწლოვანი შვილი).

ურთიერთთანადგომით თავი გაუტანიათ. დევანოზს მალე ტაქსის მძღოლად დაუწყია მუშაობა, მოგვიანებით - სატვირთო გადამზიდზე.

1941 წელს დევანოზი დაქორწინდა ფრანგ ქალბატონზე - მარია ანტუანეტზე, ვისთანაც შეეძინა ქალ-ვაჟი (დევანოზს ანასთვის დედის სახელი დაურქმევია, ხოლო

გიორგი, ნათია, ალექსანდრე (გიორგის შვილი) და კობა

კობა, ნათია, ბეატრისი (ბიცოლა), გიორგი. წინ დგას ანა

ვაჟისთვის - გიორგი - ძმისშვილის საპატივსაცემოდ). იგი ძალიან წუხდა, რომ, დროის უქონლობის გამო, ვერ შესძლო შვილებისთვის ქართული ენა ესწავლებინა. მეტწილად, გულჩათხრობილი და სევდიანი დადიოდა. ხშირად ესაუბრებოდა ცოლ-შვილს საქართველოზე, მშობლიურ მესხეთზე, თავისი სოფლის ბუნებაზე.

მხოლოდ ერთხელ იხილა მისმა ცოლ-შვილმა დევანოზ ზედგინიძე განსაკუთრებულად გახარებული. სამუშაოდან სახლში დაბრუნებულს, ხელში, ფრანგულ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ ეჭირა:

- „იცით, ვინაა ამ წიგნის ავტორი„?! - დაუსვა კითხვა ოჯახის წევრებს. ყველამ, უარის ნიშნად, თავი გააქნია.

- „ჩემი თანამემამულეა, მესხი პოეტი. შოთა რუსთაველის არსებობა ფრანგებსაც გაუგიათ“! შემდეგ, დევანოზს უთქვამს: „ზოგიერთმა ჩემმა თანასოფლელმა ზეპირადაც იცის ეს პოემა. იცით, რამდენი სიბრძნეა მასში ჩადებული„? - თვალები აუცრემლიანდა და გაუგრძელებია: „ჭირსა შიგან გამაგრება“... დამტვრეული ფრანგულით უთქვამს, თურმე, ბოლოს.

მიუხედავად სიშორისა და მძიმე წლებისა, ძმებს - დევანოზსა და ეგნატეს არ შეუწყვეტიათ ერთმანეთთან კავშირი. დევანოზი სხვადასხვა საშუალებებით მაინც ახერხებდა მასთან კავშირს, რომელსაც ძალიან აინტერესებდა ყველაფერი, რაც საქართველოსა და თავის სოფელში ხდებოდა. სულითა და გულით ნატრობდა მშობლიური კუთხის ნახვას, მაგრამ, ამაოდ...

და, მაინც, აუხდენელ ოცნებად დარჩა დევანოზს სამშობლოს ხილვა. საბჭოთა უშიშროების მუშაკები გულდაგულ ამოწმებდნენ მის თითოეულ წერილს, მაგრამ, რაკი „პოლიტიკურ სამხილებს“ არ შეიცავდა, თავი დაანებეს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, დევანოზის შვილიშვილმა - ქალიშვილის - ანას ხაზით, ქრისტეფორმა, რომელიც მარსელში ცნობილი ადვოკატია, ქართველი პაპის სიყვარულის ნიშნად თავის ახლად შეძენილ გოგონას „Georgia“ - „ჟორჟია“ დაარქვა. უფრო მეტიც, პაპის სამშობლოსთან კავშირი რომ დაემყარებინა, დაიწყო რუსული ენის შესწავლა (ქართველი პედაგოგი ვერ ნახა), ხოლო მეორე შვილიშვილმა - ცნობილმა ფრანგმა მწერალმა - ოლივიერმა, სიუჟეტად აიღო პაპის მონათხრობი ქართული ამბები და სქელტანიანი რომანი „კაცი მარმარის ზღვიდან“ - გამოაქვეყნა. ამ რომანს, ქართულ ენაზე, სულ მალე იხილავს ქართველი მკითხველი.

დევანოზ ზედგინიძის შვილი ანა ამბობს: „სამუდამოდ ჩამრჩა გონებაში მამის ცრემლებით სავსე თვალები, როდესაც გვიამბობდა თავისი მშობლების, დებისა და ძმის შესახებ, თავისი ბავშვობისა და ახალგაზრდობის ისტორიაზე. მთელი ცხოვრების მანძილზე მის სახეზე აღიბეჭდებოდა ღრმა მწუხარება და დარდი. მის ნაამბობს დიდი სიფაქიზითა და სიხარულით ვისმენდით“.

1985 წელს, 82 წლის ასაკში გარდაიცვალა დევანოზ ზედგინიძე. მისი გარდაცვალების შემდეგ მიმოწერა და კავშირურთიერთობა თითქმის სამი ათეული წელი შეწყდა.

აწ განსვენებულმა გიორგი ზედგინიძემ (დევანოზის ძმისშვილმა), გაბედა და უშიშროების არქივებში მოიძია მასალები ბიძის შესახებ. ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, მორიგ შეხვედრაზე, ბატონ გიორგის განუცხადა: „გამართულად იარე და იამაყე, რომ ასეთი კარგი ბიძა გყავდაო“! ეს განცხადება დევანოზის მეორე მსოფლიო ომში ანტიფაშისტურ ბრძოლაში მონაწილეობის ფაქტზე მიუთითებდა, რაც საბჭოთა უშიშრობის არქივებშიც აისახა. შეწყვეტილი კავშირურთიერთობის აღდგენა დევანოზის ძმის შვილიშვილმა, კობა ზედგინიძემ სცადა. მან, ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დასასრულს, სტუდენტობის პერიოდში, სცადა ფრანგ ნათესავებთან დაკავშირება. შემორჩენილ მისამართზე სტრასბურგში არაერთი წერილი გააგზავნა, მაგრამ, ამაოდ. გაგზავნილი წერილები უკან, ადრესატს უბრუნდებოდა. როგორც შემდეგ გაირკვა, დევანოზის შვილები სტრასბურგიდან მარსელში გადასახლებულან.

და, აი, 2014 წლის ოქტომბრის ერთ დღეს, კობა ზედგინიძის ტელეფონზე შემოვიდა ზარი. ხანმოკლე გასაუბრების შემდეგ, ერთ-ერთი ტურისტული კომპანიის თანამშრომელმა შოთა დავლაშერიძემ (ტოლოშის მკვიდრი) აცნობა, - ეგნატე ზედგინიძის შთამომავალს კითხულობს ქალბატონი საფრანგეთიდან, რომელიც იმყოფება თბილისში (საფრანგეთის ქართველთა დიასპორის წარმომადგენლებთან ერთად). ორი კვირის განმავლობაში ქალბატონი ანა ზედგინიძე-ბასი თარჯიმნის მეშვეობით ეძებდა თავის ნათესავებს.

ეგნატეს შთამომავლებთან შეხვედრა მოხდა სასტუმრო „რედისონის“ მიმდებარე ტერიტორიაზე. ქალბატონ ანას გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც შეხვედრაზე 50-მდე ახლობელი ადამიანი შეიკრიბა. მათ შორის, მისი თანამოასაკე ბიძაშვილები (სონა, ნათელა და ლუბა).

შეხვედრაზე წაღებული ჰქონიათ საფრანგეთიდან დევანოზის მიერ გამოგზავნილი სურათები, მათ შორის, ქალბატონ ანას ქორწილის სურათებიც.

- „სურათების ნახვამ დაგვიდასტურა, რომ ჩვენ ვართ ისინი, რომლებიც, მრავალი წლის განმავლობაში, ვეძებდით ერთმანეთს“, - განაცხადა ქალბატონმა ანამ. საღამომ დიდ, ემოციურ ვითარებაში ჩაიარა. იყო ბევრი ცრემლი, სითბო...

იმავე საღამოს ქალბატონი ანა საფრანგეთში გაემგზავრა.

- „პირველი შეხვედრის შემდეგ, - როგორც კობა ზედგინიძემ აღნიშნა, - დაიწყო წერილების მიმოწერა ფოტოებთან ერთად. კომპიუტერის მეშვეობით გავიცანით მამაჩემის თანამოსახელე ბიძა - გიორგი ზედგინიძე, მამიდა ანას ძმა, რომელსაც მიმდინარე წლის 16 თებერვალს 70 წელი შეუსრულდა.

სწორედ ეს საიუბილეო თარიღი გახდა ჩემი და ჩემი მეუღლის - ნათია მელიქიძის საფრანგეთში გამგზავრების მიზეზი. უფრო მეტიც, ჩემი წასვლის მთავარი მიზეზი ჩემი საფრანგეთში მცხოვრები ნათესავების ახლო გაცნობა და მონახულება იყო. 13 თებერვალს მარსელის აეროპორტში დაგვხვდნენ მამიდა ანა, ძია გიორგი, მისი მეუღლე ბეატრისი. შეხვედრა კვლავ გულისამაყუჩებელი და ამაღელვებელი იყო. პირველ რიგში, გამოიკვეთა საურთიერთობო ენა - ინგლისური.

გაგვაცნეს ჩვენი ვიზიტის დროის, მათ მიერ შედგენილი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა - 4 დღე ბიძის ოჯახში უნდა ვყოფილიყავით, ხოლო შემდეგი 4 დღე - მამიდის ოჯახში.

16 თებერვალს, ნათესაურ საოჯახო შეხვედრაზე, დიდი ზეიმით აღვნიშნეთ ბიძაჩემის 70 წლის იუბილე. აქ გავიცანით მთელი ჩვენი ფრანგული ნათესაობა. ბიძაშვილი ალექსანდრე ზედგინიძე - თავის მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად; მამიდაშვილები - გვარად ბასები; პატრისიას მეუღლე და ქალიშვილი, ქრისტეფორი მეუღლით და ოთხი შვილით, ასევე ოლივიე მეუღლით და ორი ქალიშვილით.

აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად ენობრივი შეზღუდვისა, მათთან ურთიერთობა ძალიან თბილი და მოსიყვარულე იყო.

მარსელში, ჩვენი ყოფნის დროს, დავათვალიერეთ ქალაქის ღირსშესანიშნაობები, აგრეთვე ქალაქები ავინიონი, ექს-პროვანსი, რომლებმაც ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს.

მათთვის ყველაზე შთამბეჭდავი გამოდგა, ჩვენს მიერ საქართველოდან წაღებული ქართული ფილმი „ფესვები“. ფილმის მთავარი გმირის ცხოვრება ბევრად ჩამოგავს ჩემი ახლო წინაპრის - დევანოზ ზედგინიძის ცხოვრების ეკლიან გზას. კინოჩვენებას ახლდა ემოციები, ცრემლი და ის დიდი სიყვარული მშობლიური მიწისადმი, რაც „ფესვების“ მთავარ გმირსა და დევანოზს აუხდენელ ოცნებად დარჩათ:

„დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო“...

ქართული ტრადიციის მიხედვით, მოვინახულეთ პაპა დევანოზისა და მისი მეუღლის საფლავები. მათზე მოვაბნიეთ მშობლიური ზველიდან წაღებული მიწა, ხოლო დარჩენილი ნაწილი, როგორც რელიქვია, ნათესაობას დავურიგეთ.

ძალიან ვწუხვარ, რომ მამაჩემი ვერ მოესწრო ამ დიდ სიხარულს!

ჩვენი განშორება უფრო ცრემლიანი გამოდგა, ვიდრე შეხვედრა.

- სექტემბერში, მომავალ შეხვედრამდე საქართველოში“! - ასეთი იყო ჩვენი დამშვიდობების ბოლო სიტყვები“.

**რობერტ ბერიძე**

# ოსმალეთის ქართველები

**ბონდო არველაძე**

გულახდილად რომ ვთქვა, ვერაფრით წარმომედგინა, ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო სტრუქტურასა და სამეცნიერო-კულტურულ დაწესებულებებში ამდენი ქართველი თუ მოღვაწეობდა. ეს შეხედულება შემიცვალა ბოლო ორ წელს გამოსულმა რამდენიმე წიგნმა, რომელთა გაცნობის საშუალება მომეცა ახალგაზრდა ნიჭიერი თურქოლოგის გელა გუნიავას წყალობით. მათი წაკითხვით გამოწვეული შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი და შთამბეჭდავი აღმოჩნდა, რომ გადავდე ყველა სამუშაო და გადავწყვიტე ქართველ მკითხველს გავუზიარო ჩემი შთაბეჭდილებანი. აი, დავიწყოთ პირველი წიგნით - „ოსმალეთის ქართველები“ (2012). მას წინ უძღვის საქართველოსთან მეგობრობის ასოციაციის თავმჯდომრის ბატონ ალი რიზა ალთუნალის ერთგვერდიანი „წარდგენა“. მასში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ ანატოლიაში მცხოვრები ქართველები ისტორიულად მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ამ გეოგრაფიულ სივრცეში. საუკუნეების განმავლობაში იცავდნენ და კვლავაც დაიცავენ ქართულ ენასა და კულტურას.

მონოგრაფიის ავტორია საქართველოსთან მეგობრობის ასოციაციის გენერალური მდივანი მურად ქასაბი (ქასაყაშვილი). ბატონი მურადი ამ წიგნის მიზნისა და დანიშნულების შესახებ წერს: „ვინაიდან წინამდებარე ნაშრომი ეხება იმ ქართველებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ოსმალეთის იმპერიის მართვაში, ამიტომ წიგნს ვუწოდე „ოსმალეთის ქართველები“. მასში მოთხრობილია ოსმალეთის საარქივო წყაროებში, ქრონიკებსა და ბიოგრაფიულ ნაწარმოებებში ნახსენები იმ პირებისა და ოჯახების შესახებ, რომლებიც წარმოშობით ქართველები არიან ან დაბადებულნი არიან საქართველოს სხვადასხვა კუთხესა და ქალაქში - თბილისში, ბათუმში, ახალციხესა და ა.შ. მასში თავმოყრილია ათასორასი ადამიანის ბიოგრაფია. აღსანიშნავია, რომ ეს არის არასრული რაოდენობა ოსმალური პერიოდის ქართული საზოგადო მოღვაწეებისა, რომლებსაც აქვთ მონაწილეობა მიღებული ოსმალური ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში. აქ მოხსენებულნი არიან მხოლოდ ისინი, ვის შესახებაც შევძელით ინფორმაციის მოძიება“.

ბარემ აქვე ვიტყვი, ვისაც საარქივო მასალებზე უმუშავია, ის გაიგებს რა ტიტანური საკვლევო-ძიებო მუშაობა შეუსრულებია ჩვენებურ კაცს მურად ქასაბს. ეს შეეძლო მხოლოდ საკუთარი ფესვების ფანატიკური ძიებით გატაცებულ ქართველს და ეს გააკეთა ბატონმა მურად ქასაყაშვილმა.

წიგნი თურქულიდან ქართულად თარგმნეს გელა გუნიავამ და ემინ ბექერეჯიმ. გელა გუნიავა სწავლობდა სტამბოლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სრულყოფილად დაეუფლა თურქულ ენას, ზედმიწევნით კარგად იცის თურქეთის ისტორია და ლიტერატურა. წლების განმავლობაში სწავლობდა ანკარისა და სტამბოლის სახელმწიფო არქივებს. არის მეცნიერების დოქტორი. თარგმანი შესრულებულია გამართული ქართულით და იკითხება ძალდაუტანებლად, ორიგინალის შინაარსი გადმოცემულია შესაბამისი ენობრივი ფაქტურით.

წიგნის შინაარსის მიხედვით ჩანს, რომ მუსლიმ ქართველებს - მწერლებს, პუბლიცისტებს და საზოგადო მოღვაწეებს მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანიათ ოსმალური, შესაბამისად, თურქული მწერლობისა და კულტურის გამდიდრებისა და განვითარების საქმეში. მათგან შეიძლება დავასახელოთ: ალი-ჰეიდარ ბეი (1836-1930). მას ეკუთვნის თხზულება „ჭეშმარიტების განცდა“. მასში აღწერილია ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ქართველებისა და ქრისტიანი ხალხების ყოფა-ცხოვრება და წარმოდგენილია ევროპული სახელმწიფოების მცდარი შეხედულებები ქრისტიანობაზე და ისლამზე. მაგრამ ალი-ჰეიდარბეი უფრო ცნობილი ყოფილა როგორც დრამატურგი. მისი პიესებია: „პერვიზის თავგადასავალი“, „მეორე ერზასი“, „სიზმრის თამაში“, „ქოჩრის კოკორი, ანუ ერთი ტირილი, ერთი სიცილი“ და სხვა.

ჰალე ასაფი (1865-1938). წარმოშობით ქართველი მხატვარი. 1924 წელს, 19 წლის ჰალე ასაფმა მოიპოვა საყოველთაო აღიარება. ცხოვრობდა პარიზში, მორიგი გამოფენის მომზადების პროცესში გარდაიცვალა.

სელაჰათინ ენის ათაბეიოღლუ (ჯაყელი). დაიბადა ანატოლიაში 1892 წელს. ბავშვობიდან წერდა ლექსებს. იგი თურქულ მწერლობაში რეალიზმის ფუძემდებლად ითვლება. მის კალამს ეკუთვნის რომანები: „ნარიმანი“,, „მეძავეები“, „ბნედა“, „ჯოჯოხეთის მგზავრები“, მოთხრობების კრებული „ჭაობის ყვავილი“ და სხვ.

ჰუსეინ სადეთინ არეალი. დაიბადა 1877 წელს სტამბოლში, ბათუმელი მუსლიმის ოჯახში. სტამბოლის იურიდიული სასწავლებლის დამთავრების (1906) შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. მუსიკას ბავშვობიდან სწავლობდა. 1948 წელს დააარსა ჟურნალი „მუსიკა და მეჯმუასიმ“. ჟურნალს თავის დროზე მსოფლიოში მეორე ადგილი ეკავა. ეს ჟურნალი დღესაც გამოდის. მას მრავალი წიგნი და სტატია აქვს გამოქვეყნებული - „ტონალობის კატალოგი“, „სიმღერის გაკვეთილები“, „ბარბითის დაკვრის მეთოდი“, „აღმოსავლური მუსიკა“ და სხვ.

აჰმედ ჰამდი თანფინარი (1901-1962). ბათუმელი ქართველი მუსლიმის შვილი. სტამბოლში უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ მუშაობდა პადაგოგად. ავტორია მოთხრობების კრებულის - „აბუდლაჰ ეფინდის სიზმარი“, „ჰულის საათები“, „ერთხელ ბუხარაში“ და სხვ.

ალი სამნი ბოიარი (1886-1967) ახალციხელი ცნობილი მხატვარია, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა თურქული ხელოვნების და, საერთოდ, კულტურის განვითარებაში.

თურქეთის კრივის ფედერაციის პირველი პრეზიდენტი ყოფილა ეშრეფ შეფეი ათაბეგი -ჯაყელი - (1894-1980). წლების განმავლობაში უმუშავნია რადიოჟურნალისტად. გადმოსცემდა რეპორტაჟებს ჭიდაობის და კრივის ტურნირებიდან. მას ეკუთვნის შრომები „თურქი მოჭიდავეების ისტორია“, „ცნობილი ფალავნების გამოსვლები“ და სხვა.

კიდევ უფრო მეტი ქართველი იყო ოსმალური იმპერიის სახელმწიფოს უმაღლესი რანგის ჩინოვნიკები - დიდვეზირები. ქართველების რიცხვი სულ ცოტა ოცი ყოფილა, მინისტრების თოთხმეტი, ვეზირების, სარდლების, ბეგლართ-ბეგების, ფაშების რიცხვი 100-ს აჭარბებს. თურქეთის დიდი ეროვნული კრების ბათუმელი ქართველი დეპუტატების და სხვა ქართველთა რიცხვი სამას აღემატება. მურად ქასაბს ცალკე თავად აქვს გამოყოფილი - სულთნის ქართველი დედები, უფლისწულების ქართველი მეუღლეები და სხვა.

მონოგრაფიაში მოცემულია ყველა სფეროში მოღვაწე ქართველების ბიოგრაფიები და მათი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვები. ეს კი პირველად გააკეთა მურად ქასაბმა, როგორც თურქულ, ისე ქართულ სინამდვილეში. მართებულად აღნიშნავს მეცნიერების დოქტორი, მთარგმნელი გელა გუნიავა: „ამ წიგნის გამოცემამ წარუშლელი ზეგავლენა მოახდინა თურქეთში მცხოვრებ მილიონობით ეთნიკური ქართველის ცნობიერებაზე, გააღვიძა, გააძლიერა მათში სიამაყის და პატივისცემის გრძნობის განცდა საკუთარი ფესვების მიმართ“.

ჩემი მხრივ ვიტყოდი: ეს არის თურქეთში მცხოვრები ქართველების ყოფის მცირე ენციკლოპედია.

ამავე 2012 წელს გამოვიდა „საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში“. ეს კრებული საქართველოსთან მეგობრობის ასოციაციის მიერ არის მომზადებული და გამოცემული (თავმჯდომარე ბატონი ალი რიზა ალთუნელი).

კრებულში შესული საარქივო დოკუმენტები შეუსწავლია ბატონ მუშინ ილდიზთს, რედაქტორია ბატონი მურად ქასაბი. ქართული თარგმანის კორდინატორი ბატონი ემინ შექერჯია, ქართული თარგმანი ეკუთვნის ირაკლი ართმელაძეს და გელა გუნიავას.

ალი რაზა ალთუნელი მადლობას უხდის მხარდაჭერისათვის ბატონ ისმაილ სანჯაქტს და მის გუნდს.

მატერიალური და მორალური თანადგომისათვის მადლობას უხდის აგრეთვე თურქული და მისი მონათესავე ხალხების საქართველოს თავმჯდომარეს ბატონ ქემალ იურთნისს და მის თანამშრომლებს. ეს პიროვნებები იმიტომ ჩამოვთვალე, რომ გვსურს ქართველმა საზოგადოებამ იცოდეს მათი დამსახურების შესახებ ამ კეთილშობილურ საქმეში.

როცა ოსმალეთმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ჩამოაცილა დედა სამშობლოს (მე-16 ს.), დაიწყო ქართველთა ისლამიზაცია. ისლამიზაცია ხდებოდა სხვადასხვა საშუალებებით - ძალდატანებით, მოსყიდვით და ნებაყოფლობით. მაგალითად: საარქივო საბუთი (გვ.43) გვამცნობს - „არზრუმის ბეგლართბეგს გაცნობებთ, რომ ქართველ აზნაურთაგან ილიას-ძე ყაფლანმა, მიიღო ისლამი და მორჩილება გამოუცხადა ოსმალეთის იმპერიას. ამისთვის მას გადაეცეს 6000 დილიქი (1556 წ. 30 ნოემბერი)“. (დილიქი სახელმწიფოს მიერ საარსებო საშუალების სახით ბოძებული თუმანის, ულუფის და სარგოს საერთო სახელწოდებაა).

როგორც ჩანს, ყოფილა ისლამიდან ქრისტიანობაზე დაბრუნების შემთხვევებიც. არზრუმის ბეგლართბეგს და ლავანის ყადს სულთანისაგან მოსვლია ბრძანება: „ლივანის ბეგი მეჰმედი გვატყობინებს, რომ გამაჰმადიანებულ აჰმედ თურუნ-ოღლი ისევ დაბრუნებია ქრისტიანულ სარწმუნოებას. იგი დღესაც სარგებლობს ჩვენ მიერ გაცემული მოწმობით. ბრძანების მიღებისთანავე ზემოხსენებული პიროვნების შესახებ ჩაატარეთ მოკვლევა და დაადგინეთ ამ აზნაურმა მართლა უარყო თუ არა ისლამი? უმოკლეს დროში მომაწოდეთ დაწვრილებითი ინფორმაცია. 1565 წ. 16 ივნისი“.

ამ საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, ქართველი ქრისტიანი თუ ისლამს მიიღებდა, სულთნის წყალობით სარგებლობდა შეღავათებით და გარკვეული უპირატესობა ჰქონდა თანამოძმე ქრისტიანებთან შედარებით, მაგრამ ქრისტიანობაზე დაბრუნების შემთხვევაში კარგავდა ამ უპირატესობას.

მართალია არ ჩანს, ამ შემთხვევაში როგორ დამთავრდა ეს საქმე, მაგრამ სულთნის ბრძანების შინაარსს თუ გავითვალისწინებთ, ეს აზნაური თუ მართლა დაუბრუნდა ქრისტიანობას, ბოძებულ მიწის ნაკვეთებს და სხვა უპირატესობებს დაკარგავდა.

კრებულში შესულია დოკუმენტები, რომელთა მიხედვით ჩანს, რომ სულთანი კრძალავდა დაპყრობილი ქართველი ხალხის ტყვედ გაყიდვას. აი ერთ-ერთი დოკუმენტი - „იმერეთისა და გურიის მთავრების მიერ გამოგზავნილი ელჩები მოითხოვენ, რომ დაპყრობილი ქართველი ხალხის ბავშვები, რომლებიც გაიყიდა, მოძებნონ და თავიანთ პატრონებს დაუბრუნონ.

ვბრძანებ, რომ ბრძანების მიღებისთანავე ამ საქმით დაინტერესდით. ზემოთ ხსენებულ სამთავროებიდან, დაპყრობილი ქართველი ხალხი ტყვედ აღარ გაიყიდოს, გაყიდული ტყვეები იპოვონ და მთავრებს გადასცენ. ამის თაობაზე ყველა კაზაში გააგებინე, კონტროლი გაამკაცრე, რათა ხალხმა არასწორი საქციელი აღარ ჩაიდინონ. 1577 წ. მარტი“.

სულთნის ეს ბრძანება რამდენად შეასრულა არზრუმის ბეგლართ-ბეგმა საარქივო საბუთების მიხედვით, არ ჩანს, მაგრამ, მოგვიანებით - 1712 წლის 30 მარტისა და 7 აპრილით დათარიღებულ დოკუმენტში გამუსლიმანებული ქართველი ტატიოღლებს (ტატიშვილებს) ქართველი ბავშვები - ორი ვაჟი და ერთი გოგონა მოუტაცნიათ და გაუყიდიათ. ეს შეუტყვია სულთანს და გაუცია ბრძანება - სასწრაფოდ მოხდეს გამოძიება და აღდგენილი იქნას სამართლიანობა.

ანალოგიური შინაარსისაა 1726 წლის 4 იანვრით დათარიღებული დოკუმენტი, რომელშიც ვკითხულობთ: „შენ ჩემო ვეზირო, თბილისის ციხისთავი ხარ. ჩემი მითითების მიხედვით, მოძალადე და ადამიანის გამტაცებელი ყაჩაღები დაიჭირე და გატაცებული ბავშვები და გადამალული ქონება პატრონებს დაუბრუნე. დამნაშავენი კანონის ფარგლებში დასაჯე. ქართველი ხალხი დაიცავი და მათ დაჩაგვრას ნუ შეურიგდები. ამ საკითხზე ძალიან ყურადღებით იყავი, რისთვისაც ამ ფირმანის მიღების ღირსი გახდი“.

აქვეა დიდვეზირის ბრძანება: „სანჯაყში შემავალი აჭარის, მაჭახელას და ქობლიანის მოსახლეობიდან ზოგიერთი პიროვნება ბავშვებს იპარავს და ყარსის და ჩილდირის სანჯაყებში მიყავთ და ყიდის. ამის შემდეგ ვინც კანონს დაარღვევს, ვინც არ უნდა იყოს, დააპატიმრეთ და ტყვეებთან ერთად ლაზისტანის სანჯაყის ბეგებთან გააგზავნეთ, რათა ასეთი უკადრისი საქციელი მომავალში აღარ განმეორდეს. 1851, 22 ოქტომბერი“.

1851 წლის 2 დეკემბრით გაცემულ ერზრუმის ვალის შერიფ მუსტაფა მაზარის გაცემული ბრძანებით ჩანს, ქართველი ბავშ-

ვების გატაცებისა და გაყიდვის გამო ოსმალო ოფიცერი მეჰმედი დაუსჯიათ.

საინტერესო საბუთია (1886 წ.18 ივლისი) იმის თაობაზე, თუ როგორ ცვლიდნენ ქართულ ტოპონიმებს თურქულით იქ, სადაც ქართველი მუჰაჯირები უნდა დაესახლებინათ.

ეტყობა, ოსმალეთის მთავრობას ქართველ მუჰაჯირთა გამუსლიმანება არ ყოფნიდა და მათ გარემოსაც მუსლიმანურს უმზადებდნენ, რათა ქრისტიანობას არ დაბრუნებოდნენ და სამშობლოზე არ ეფიქრათ.

მერვე დივიზიის მეთაური, გენერალი (გვარი გაურკვევლად ჩანს) ფადიშაჰის წარდგენილ ანგარიშში სომხების შესახებ წერს:

„რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის პირველ ეტაპზე სომხებს საერთაშორისო არენაზე არავითარი ეკონომიკური და მორალურ-პოლიტიკური პოზიცია არ ჰქონდათ. მათთვის პირადი ინტერესები იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მზად იყვნენ მის მისაღწევად ყოველგვარი მსხვერპლი გაეღოთ. ქართველი და ჩერქეზი დიდგვაროვნების ავტორიტეტს ამოფარებულნი ვაჭრობას ეწეოდნენ. როდესაც რუსებმა დაიწყეს წარმატებული წინსვლა და გავლენის მოპოვება კავკასიაში, მათი ხასიათიდან გამომდინარე, ყველაზე ადრე სომხებმა ჩაავლეს ხელი რუსის კალთას. რუსებმა ისარგებლეს მათი უსუსური მდგომარეობით, პირმოთნე, ქლესა ხასიათით და მათ სათარჯიმნოდ, ჯაშუშური და სხვა მსგავსი საქმიანობისთვის იყენებდნენ. ამის გამო სომხებმა დამახასიათებელი მდგომარეობიდან ნელ-ნელა აინიეს ავტორიტეტულ პოზიციებზე“ (1886 წლის 28 დეკემბერი, მერვე დივიზიის მეთაური, დივიზიის გენერალი.

კრებულში შესულია საარქივო დოკუმენტები, საიდანაც ირკვევა, რომ სტამბოლის ფერიქონის ქართული ეკლესიის მრევლს ჩაუტარებია „ვარდის ფესტივალი“ - „ამ დღეს ფერიქოიში მდებარე ქართული ეკლესიის მიერ „ვარდობის დღესასწაულის“ ჩატარებასთან დაკავშირებთი, გამოიტანეს ხატები, ორკესტრთან ერთად მიმდებარე ქუჩები გამოიარეს და ეკლესიიდან გამოსულებმა ფადიშაჰისადმი მიძღვნილი ჰიმნი შეასრულეს“ (1899 წლის 28 მაისი“.

1901 წლის 23 ივნისს ფერიქოის ეკლესიის მრევლის ქრისტიანული დღესასწაული „ცეცხლის ღამე“ (ალბათ „ჭიაკოკონობა“ აღწერეს. ბ.ა.) აღუნიშნავს. ამიტომ ფერიქოის ქართული კათოლიკური ეკლესიის გარშემო რამდენიმე კოცონი დაუნთიათ.

რუსეთის მმართველობით უკმაყოფილო და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის მებრძოლ ქრისტიან ქართველებს 1907 წლის ივნისში წერილობით მიუმართავთ ჰააგაში მოწვეულ სამშვიდობო კონფერენციისთვის. მასში აღწერილია, როგორ დაარღვია რუსეთმა გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული ყველა მუხლი: გააუქმა ბაგრატოვანთა სამეფო ტახტი, გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია (1811) და ქართულ ეკლესიას რუსი ეგზარხოსები ჩაუყენა სათავეში. ქართული ეკლესიის ქონება გაზიდა რუსეთში, ხოლო ადგილ-მამულები ჩამოართვა და ხაზინას გადასცა. ამ დროს ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე ოსმალეთის იმპერიის მმართველობის ქვეშ მყოფი ვილაიეთებიდან რუსეთის მფარველობაში მყოფი სერბეთის ქრისტიანულ ცივილიზაციის შემადგენლობაში რუმინეთი და ბულგარეთი ჩამოყალიბდა. მაშინ როცა ევროპულ ცივილიზაციასთან დაახლოების მიზნით რუსეთთან შეერთებული 18 საუკუნის

მანძილზე დამოუკიდებელი და ქრისტიანული ცივილიზაციის ნაწილი ჩვენი ქვეყანა პირიქით - დაიქცა.

ეს საარქივო დოკუმენტი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ქართველი ხალხი და მისი პროგრესულად მოაზროვნე შვილები არასდროს შეგუებიან რუსეთის ოკუპაციურ რეჟიმს საქართველოში. ნებისმიერ ხელსაყრელ მომენტს იყენებდნენ, რათა მსოფლიოსთვის მიეწოდებინათ ხმა საქართველოში რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ. ჰააგის კონფერენციასაც ამიტომ მიმართეს. რა თქმა უნდა, მიმართვას შედეგი არ მოყოლია, მაგრამ ეს დოკუმენტი არის ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში ერთ-ერთი შესანიშნავი ფურცელი.

კრებულში შესულია სულთან მურად მე-3-ის (1574-1595) ბრძანება: „იმერეთისა და გურიის ელჩებმა მაცნობეს, რომ იერუსალიმში არსებული ქართველთა სალოცავები, რომლებიც უძველესი დროიდან მათ საკუთრებაში იყო, ფრანგებმა და სომხებმა მიიტაცეს.

ვბრძანებ, რომ:

მოუხმეთ იერუსალიმის წარჩინებულთ, გააცანით ვითარება და გაარკვიეთ, ეს სალოცავები ძველთაგან ნამდვილად ქართველებს ეკუთვნის თუ სხვებს? მხოლოდ თავდაპირველ მფლობელებს მიეცით საშუალება, რომ მოილოცონ ეს ადგილები, ხოლო დანარჩენებს აუკრძალეთ! შედეგები წერილობით წარმომიდგინეთ!

1577 წლის 14 აპრილი“.

ეს ეკლესიებია - იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერი, რომელიც ბერძნებს აქვს მისაკუთრებული, წმ.იაკობის ქართული ტაძარი, რომელიც სომხებს აქვთ მიტაცებული.

ეს ძალადობა სომეხი სასულიერო პირებისაგან მოულოდნელი არ არის. მათ გაუგონარი მკრეხელობა ჩაიდინეს - 1888 წელს იერუსალიმში უფლის საფლავის ტაძარი გადაწვეს იმ მიზნით, რომ მიისაკუთრებდნენ (იხ. Панченко К. Ближневосточния Православия под османским владычеством первые три столетия 1516-1831“, Москва, 2012).

მესამე კრებული „კავკასიის ისლამური თემი საქართველოს საარქივო დოკუმენტებში - 1800-1917 წლებში“. კრებული შეადგინა გელა გუნიავამ. კრებულში შესული საარქივო მასალები მოიცავს კავკასიის ისლამური თემის განსახლების გეოგრაფიას, მათ რაოდენობრივი ცვლილებების სტატისტიკას, მონაცემებს საკულტო ნაგებობებზე, სასწავლებლებზე და სასულიერო კადრების მომზადებაზე, მათი დაფინანსებისა და დანიშვნა-განთავისუფლების პირობები.

ამ თემაზე გამოვლენილი ასობით საარქივო საქმიდან კრებულში შეტანილია 100-მდე დიდი და მცირე მოცულობის დოკუმენტი. ყველა მათგანზე მითითებულია ფონდის, აღწერის და საქმის ნომერი, მისი დაწერის თარიღის შესაბამისი არქივის სახელწოდების მითითებით, რაც საკითხით დაინტერესების შემთხვევაში უფრო ვრცელი და ამომწურავი ინფორმაციის წყაროს გაცნობის საშუალებას იძლევა.

კრებული გამოცემულია საარქივო მასალების შესაბამისი ნორმების დაცვით, რაც მისი ავტორის - გელა გუნიავას აკადემიური განათლებისა და მეცნიერულ კეთილსინდისიერებაზე მიუთითებს.

ამჯერად, კრებულში შესულ საარქივო მასალას ვერ განვიხილავ, მაგრამ მსურს ერთ დოკუმენტზე შევჩერდე. ეს დოკუმენტი (1902 წლით არის დათარიღებული) საინტერესოა იმით, რომ მასში ლაპარაკია შაჰ-აბასის დროს თბილისში აშენებულ მეჩეთზე, რომელიც, თურმე, მლოცველებს ვეღარ იტევდა. ამავე დროს ავლაბრის მე-2 ხიდის (იგულისხმება მეტეხის ხიდი. ბ.ა.) მშენებლობის დროს ამ ხიდმა ერთი საჟენით მაღლა აინია და მეჩეთი ღრმა ღრმულში აღმოჩენილა და მეტისმეტად დაბნელებულა, კედლები მთლიანად ნოტიო, სველი, გამხდარა. მლოცველებს მეჩეთში უჭაერობა, თავბრუხვევა აწუხებდა და ცუდად ხდებოდნენ.

ამ მიზეზის გამო ამიერკავკასიის შიიტური სასულიერო მმართველობას მიუმართავს კავკასიის მთავარი სამმართველოს სამოქალაქო განყოფილებისთვის, რათა ახალი მეჩეთის აშენების ნება მიეცა. თხოვნა ყურად უღიათ და 1902 წელს მთავარი სამმართველოს გამოუყვია მიწის ნაკვეთი. ახალი მეჩეთის ასაშენებლად როგორც ჩანს, მეჩეთი ვერ აუგიათ, ალბათ 1905 წლის რევოლუციამ და არეულობამ შეუშალა ხელი.

ეს მეჩეთი 1950-იან წლებში დაანგრიეს, ბარათაშვილის ხიდის გაშენების დროს, ამით ბოლშევიკ-ათეისტებს ნამუსი არ მოეწმინდებათ, მათ საქართველოში ასეულობით ეკლესია-ტაძარი დაანგრიეს, ან საწყობებად გადააქციეს.

აღნიშნული გამოცემების ეს მიმოხილვა გავაკეთე იმისათვის, რომ მსურდა გამეცნო მეცნიერებათა დოქტორი გელა გუნიავა და მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა ქართულ-თურქული ისტორიული ურთიერთობის დარგში.

იმედია, მეცნიერების დოქტორი გელა გუნიავა მუშაობას გააგრძელებს და ახალ-ახალი გამოკვლევებით გაახარებს ქართველ საზოგადოებას.

# ლონისძიება ღვაწლმოსილ ადამიანებს მიეძღვნა

20 მარტს ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა ბორჯომელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის გიორგი ზედგინიძისა და ბორჯომელი საზოგადო მოღვაწის, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის, ისტორიკოს **გიორგი ხუჯაძის** ხსოვნის საღამო. ამასთანავე, შედგა წარდგენა გიორგი ზედგინიძის წიგნისა - *,,ჯავახური ლექსიკონი~*, რომელიც გასულ წელს გამოსცა მწერლის ვაჟმა **ვლადიმერ (ვოვა) ზედგინიძემ**.

მუზეუმში თავი მოიყარეს ღვაწლმოსილთა თაყვანისმცემლებმა, რომლებსაც ვერ იტევდა მუზეუმის სხდომათა დარბაზი.

საღამო მიჰყავდა ღონისძიების ორგანიზატორსა და მუზეუმის მმართველს ქალბატონ **ვიოლეტა ბალახაშვილს**.

წიგნის - ,,ჯავახური ლექსიკონის~ შესახებ მოხსენება გააკეთა გაზეთ ,,ბორჯომის~ რედაქტორმა **ვალერიან ლომიძემ**. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ წიგნის გამოცემით გაკეთდა საშვილიშვილო საქმე და ქართულ დიალექტიკურ ლიტერატურას კიდევ ერთი საინტერესო ნაშრომი შეემატა.

გიორგი ხუჯაძის ღვაწლზე ისაუბრა მუზეუმის თანამშრომელმა **ალგი ლომიძემ**, ხოლო ფილოლოგმა პედაგოგებმა **ანასტასია (ტასიკო) ხაჩიძემ** და **ეთერ ჩუტკერაშვილმა** ისაუბრეს გიორგი ზედგინიძის რომანების ,,დედის ტაძრის~ და ,,გატეხილი ხიდის~ მნიშვნელობაზე.

ბორჯომის მე-6 საჯარო სკოლის მოსწავლემ **ანი დავიდიანმა** მხატვრულად წაიკითხა ნაწყვეტი გ. ზედგინიძის მოთხრობიდან ,,უფ-



ლისწული~, ხოლო მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის თანამშრომელმა **გიორგი ლაზარაშვილმა** ბატონ გიორგის ,,დღიურები~ გაგვახსენა.

საკუთარი ლექსების წაკითხვით კვლავ მოხიბლა მსმენელი ბაკურიანელმა **რუსლან ჯანგობეგოვმა**. მოგონებებით გამოვიდნენ: **ჯულიეტა ფერაძე, ზაურ ლაზარაშვილი, ომაზ ჩხეიძე**, ახალციხის მუნიციპალიტეტის თანამშრომელი, მწერლის სიძე **რეზო ანდღულაძე**. მათ საინტერესო და ემოციურ მოგონებებში კიდევ ერთხელ წარმოჩინდა ჩვენს წინაშე ორი ბუმბერაზი პიროვნება, - ორი დიდი მამულიშვილი და ქართული კულტურის დაუღალავი მოღვაწე.

აი, ,,შტრიხები~ გამომსვლელთა მოგონებებიდან:

**ჯულიეტა ფერაძე** (ბორჯომის მე-4 საჯარო სკოლის ყოფილი პედაგოგი, ტაძრისის სკოლაში გ. ზედგინიძის მოწაფე):

*,,ბატონი გიორგი 14 წელი იყო ტაძრისის საშუალო სკოლის დირექტორი. მან ბავშვების დატუქსვა არ იცოდა. მოხუცები ფეხზე დგომით და ქუდის მოხდით ესალმებოდნენ~.*

**ეთერ ჩუტკერაშვილი**: ,,ერთხელ ბავშვებს დირექტორმა გამოკითხვა მოუწყო, თუ რას ინატრებდნენ. ერთ-ერთმა მოსწავლე-გოგონამ **ოლია თოფურიანმა** თქვა: ნეტავ ამაღამ არ იწვიმოს, როგორც გარეთ, ჩვენს სახლშიც ისე წვიმსო (მას ფეხმოჭრილი მამა ჰყავდა). ერთ კვირაში მოსწავლის სახლი გადაიხურა.

შემდეგში მომავალმა პოეტმა და პედაგოგმა **ოლია თოფურიანმა** ამაგდარ დირექტორს ლექსი მიუძღვნა (ეს ლექსი ხსოვნის საღამოზე წაიკითხეს).

**ომაზ ჩხეიძე**: ,,ბორჯომელები სამარყანდაში ვართ. თემურ-ლენგის საფლავს ვათვალიერებთ. საქართველოს მრავალგზის დამაქცევარი ფურთხის ღირსი იყო. ჩვენ ეს ,,რიტუალი~ შევასრულეთ. გიორგი ზედგინიძემ ეს არ იკადრა. ის დიდხანს იდგა მტარვალის საფლავთან და მე მესმოდა მისი გულის ძგერა~...

შეკრებილთ მადლობა გადაუხადეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსმა, გიორგი ხუჯაძის შვილიშვილმა **მარინა ხუჯაძემ** და მწერლის ვაჟმა **ვლადიმერ ზედგინიძემ**. ბატონმა ვოვამ აღნიშნა: ,,ჯავახურ ლექსიკონში~ შესულია 28 ათასი სიტყვა. მამამ ჯერ კიდევ 17 წლისამ დაიწყო ლექსიკონისთვის სიტყვების შეკრება. მან თქვა, რომ ,,დედის ტაძარი~ 29 თაბახი იყო, მხოლოდ 15 თაბახი დაიბეჭდა და აპირებს აღნიშნული რომანის სრულად გამოცემას; აგრეთვე სურს გამოსცეს მწერლის 8 დრამატული ნაწარმოები და მამისაგან მოპოვებული სხვა უზარმაზარი ეთნოგრაფიული მასალა. მანვე დამსწრე საზოგადოების წევრებს ,,ჯავახური ლექსიკონი~ საჩუქრად გადასცა.

უშანგი ჯანგირაშვილი

# შესაბამისი რესურსი არის, საჭიროა ახალი ინიციატივები და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა

ბატონო რედაქტორო,

ცნობილი ფაქტია, გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ შეზღუდული პერიოდულობისა და მცირე ფორმატის მიუხედავად, ლიტერატურის, ისტორიის, ეთნოგრაფიის, პოეზიის, პროზის, კულტურული ცხოვრების და სხვა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქების გარდა, სამეურნეო, სამეწარმეო და ბიზნესის საკითხებითაც ინტერესდება და ჩემ მიერ ქვემოთ მომზადებული მასალით, თუკი მას გამოაქვეყნებთ, იქნებ რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების ხელისუფალნი, მეწარმეები, ბიზნესმენები დაინტერესდნენ და ამით ხელი შეუწყონ ისეთი საწარმოების შექმნას, რომელთაც, მხარის ბუნებრივი რესურსების გათვალისწინებით, შეეძლებათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ მხარის სამრეწველო პოტენციალის განვითარებაში, ნარჩენების გადამუშავებასა და პერსონალის დასაქმებაში, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დონის ამაღლებაში.

მოგეხსენებათ, ბორჯომის, ადიგენის და, ნაწილობრივ, ასპინძისა და ახალციხის მუნიციპალიტეტები, ბუნებრივი ტყის მნიშვნელოვან რესურსებს ვფლობთ. არსებული სიმდიდრე კი, ფაქტიურად, გამოუყენებელია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ფაქტებს, როცა ტყეებში ადგილი აქვს ბრაკონიერობასა და სხვა არაკანონიერ ქმედებებს.

თუ მავანნი დაინტერესდებიან და რეალურ ინვესტიციებს მოძებნიან, ან ადგილობრივ მეწარმეებს, ბიზნესმენებს დაინტერესებენ და ხელს შეუწყობენ, საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებასთან ერთად შევძლებთ ავაღორძინოთ მრეწველობის ის დარგები, რომელთა განვითარების ტრადიციები მრავლად იყო როგორც ბორჯომის, ისე ადიგენის, ასპინძისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში.

ამჯერად, პირველ რიგში, ყურადღებას გავამახვილებ მერქნის მოპოვებისა და დამუშავების აქტუალურ საკითხზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში მკაფიოდაა აღნიშნული, რომ მსოფლიოს რესურსებში მერქანი მეოთხე ადგილზეა პლატინის, ოქროსა და ნავთობის შემდეგ. წინა სამი რესურსის მარაგი, არასწორი ან ხანგრძლივი ექსპლოატაციის გამო, შესაძლოა ამოიწუროს, ტყე კი მერქნის ყოველწლიურ მატებას იძლევა, რაც მისი შემდგომი ექსპლოატაციის საფუძველია.

დღეისათვის მსოფლიოში არსებული 30 ათასამდე მერქნიან მცენარეთა სხვადასხვა სახეობებიდან მხოლოდ 5 ათას სახეობას აქვს სამრეწველო გამოყენება. თუმცა, დღეისათვის, დეტალურად შესწავლილია 1500-მდე სახეობის მერქანი, რომელთაგან მსოფლიო ბაზარზე მხოლოდ 200 სახეობის მერქანი გვხვდება.

ყოფაცხოვრებასა და მრეწველობაში ადამიანები იყენებენ მერქნისაგან დამზადებულ 20 ათასამდე სხვადასხვა სახის ნივთს, აქედან 500-მდე მიღებულია მერქნის მექანიკური გადამუშავებით, ხოლო ყველა დანარჩენი მიღებულია მერქნის ქიმიური გადამუშავებით. ფაქტიურად, არ არსებობს სახალხო მეურნეობის არცერთი დარგი, რომელიც არ იყენებდეს მერქნის ნაკეთობას ან მისი ქიმიური გადამუშავებით მიღებულ პროდუქტებს.

ვახუშტი ბაგრატიონის თქმით, საქართველოში, იმ დროისათვის, მრავლად იყვნენ „კაცნი ხელოვანნი ხის მუშაკობითა“ და უხსოვარი დროიდან იცნობდნენ მერქანს, მისი ათვისებისა და გამოყენების სფეროს, ამასთან, ქართველი კაცი, თავისი პრაქტიკული გამოცდილებით, შესანიშნავი მერქანმცოდნე იყო. სამწუხაროდ, აღნიშნული ტრადიციები დავიწყებას ეძლევა. უქმად ცდება მერქნის ძვირფასი ჯიშების რესურსი, რომლის ეფექტურად ათვისებისა და გამოყენების პირობებში, დასაქმდებოდა ასობით ადამიანი, შეიქმნებოდა კონკურენტუნარიანი პროდუქცია, ათასობით კუბური მეტრი ნარჩენის, ნახერხის, წიწვის, ფოთლის, ტოტის, ფესვის ქიმიური თუ მექანიკური დამუშავებით შესაძლებელი იქნებოდა ტონობით საჭირო პროდუქტი და მრავალი დასახელების საჭირო ნივთი გამოგვეშვა. შესაბამისად, ბიუჯეტიც შეივსებოდა და ტყეც მოვლილი იქნებოდა.

ფაქტია, რომ ცოდნა და გამოცდილება არც დღეს გვაკლია, - მეტყევე-ინჟინრები, ხის დამუშავების და ჩუქურთმის მკეთებელი კვალიფიციური, პროფესიონალი კადრები, მეავეჯე-ინჟინრები, რომელთაც უნარი შესწევთ არამარტო დაიცვან და გამოიყენონ ჩვენი სიმდიდრე - ტყეები, არამედ, შექმნან თანამედროვე სტილის ავეჯი, მრავალფეროვანი სადურგლო ნაწარმი, სხვა ნაკეთობები.

აღსანიშნავია, რომ დღესაც, 21-ე საუკუნეში, ჩვენში, ხის დასამუშავებელი და სხვა ტექნიკის დაბალი წარმადობისა და პარამეტრების გამო, სამრეწველო მიზნით გამოტანილი ხე-ტყის მხოლოდ 50-70 პროცენტს თუ ვიყენებთ სადურგლო საამქროებში, დანარჩენს ყრიან მდინარეებში, ცეცხლს უკიდებენ და ამით აბინძურებენ ატმოსფეროს.

საქართველოს სხვა რაიონებთან შედარებით, ბორჯომისა და ადიგენის, ნაწილობრივ ასპინძის და ახალციხის რაიონებსაც გააჩნიათ ტყის რესურსი, რომელთა ამოქმედებით და ხალხის, სახელმწიფოს სამსახურში ჩაყენებით, მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს გადავჭრით, ასობით ადამიანს დავასაქმებთ და მნიშვნელოვანად შეივსება ბიუჯეტიც.

ამ მხრივ საკმარისია გავეცნოთ სხვა ქვეყნების გამოცდილებას. შორს რომ არ წავიდეთ, ამ მხრივ, რუსეთშიც დაინტერესდნენ და ინტენსიურად ნერგავენ უახლეს ტექნოლოგიებს და სპეციალური ბიოქიმიური საამქროების აშენებით, ტყე-კაფზე დატოვებული ნარჩენებით, აგრეთვე, ნახერხით და ბურბუშელით, შესაძლებელია მივიღოთ ისეთი საკვები - საფუარი, რომლის გამოყენებით მეცხოველეობაში ასევე მნიშვნელოვნად დაიზოგება მარცვლეულის ფურაჟი.

საინტერესოა, რომ ერთი ტონა საკვები საფუარის ფურაჟში შერევით საშუალება გვეძლევა ვაწარმოოთ საქონლის ერთ ი ტონა და ფრინველის 2 ტონა ხორცი.

მერქნის ნახერხის გამოყენება შეიძლება ტექნიკური სპირტის საწარმოებლად, კერძოდ, 1 ტონა მერქნის ნახერხით იმდენივე სპირტი მიიღება, რამდენიც 700 კილოგრამი კარტოფილისაგან, აღარაფერს ვამბობთ ნახერხისაგან საავეჯო და სამშენებლო ფილების დამზადების შესაძლებლობაზე.

გარდა ამისა, ცნობილია, რომ რიგ ქვეყნებში, განსაკუთრებით სკანდინავიის, ერთი კუბური მეტრი მერქნის ქიმიური გადამუშავებით იღებენ 200 კილოგრამ ცელულოზას, ან 6 ათას კვადრატულ მეტრ ცელოფანს, ან 200 კილოგრამ შაქარს, ან 5 ლიტრ ხის სპირტს, ან 20 ლიტრ ძმარმჟავას, ან 70 ლიტრ ღვინის სპირტს, ან 165 კილოგრამ ხელოვნურ ბოჭკოს და ა.შ.

ამ მხრივ მაგალითების მოყვანა ბევრი შეიძლება, მაგრამ მთავარი ის არის, თუ როგორ ვიყენებთ ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეებს, განსაკუთრებით - ტყეებს.

სპეციალისტები დაგვეთანხმებიან, რომ რესპუბლიკაშიც და თვით ბორჯომის ხეობაშიც, ასევე მხარის სხვა რაიონებშიც, ტყის რესურსები ამოუწურავი არ არის, მაგრამ მისი გეგმაზომიერი ექსპლოატაციის პირობებში, შესაძლებელი იქნებოდა მაქსიმალურად გამოგვეყენებინა მისი სასაქონლო ღირებულება.

გასაგებია ის სირთულეებიც, რაც თან ახლავს ჩვენი ტყეებიდან ხე-ტყის გამოტანას (უგზოობა, თანამედროვე საზიდი ტექნიკის უქონლობა), მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის უკუგება, რომელიც მერქნის და მისი ნარჩენების სხვადასხვა მეთოდით დამუშავების გზით შეიძლება მივიღოთ.

ასევე ასათვისებელია ტყე-კაფზე დარჩენილი ასობით კუბური მეტრი ნარჩენი (ტოტები, წიწვი, ჯირკები, ფოთლები), რომლებიც ტყეკაფებზე აფერხებენ მცენარეთა ზრდა-განვითარებას და წარმოადგენენ ხანძრისა და მავნე მწერების წარმოქმნისა და გავრცელების კერებს.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: განა იაპონელები ან გერმანელები ასეთ სიმდიდრეს ქარს გაატანენ, ან ცეცხლში დაწვავდნენ?

ასევე ცნობილია, რომ იაპონელები მერქნის 100 პროცენტიდან 101-102 პროცენტს იყენებენ. გასაკვირია, ხომ?! ისინი, თითოეული მოჭრილი ხისაგან, მაქსიმუმს ითვისებენ, ტყეში არ ტოვებენ ფესვსა და ფოთოლსაც კი.

მახსენდება ერთი ასეთი ფაქტი: საბჭოთა კავშირის პერიოდში, იაპონიას ხუთწლიანი ხელშეკრულება გაუფორმებია ამ ქვეყანასთან - ციმბირში ტყის საკმაოდ დიდი ფართობების შესყიდვის თაობაზე. მათ, 5 წლის განმავლობაში, პირწმინდად უნდა აეთვისებინათ ტყის რესურსი შესყიდულ ფართობზე და შემდეგ ტყის იგივე ჯიშის ნერგებით ახლად უნდა გაეშენებინათ დამუშავებული ფართობები.

გადის ერთი, ორი, სამი, ოთხი წელი და იაპონელები სამუშაოებს არ იწყებენ. გაუკვირდათ ყოფილ საბჭოელებს, უფრო სწორად, რუსებს. იცით რა, იაპონელების პუნქტუალობის შესახებ, თანაც, ხელშეკრულების დარღვევა, მილიონობით დოლარის ჯარიმას ითვალისწინებდა.

იაპონელები კი დინჯად პასუხობდნენ, ხელშეკრულებას არ დავარღვევთო. და, აი, მეხუთე წელს, იაპონელებმა მძლავრი ტექნიკით და კვალიფიციური მუშახელით, შეუტიეს ციმბირის ტყეებს და 5-6 თვეში პირწმინდად აიღეს შესყიდული ხე-ტყე თავისი ნარჩენებით ისე, რომ ფესვები და ფოთლებიც კი არ დაუტოვებიათ.

მთავარი ეს არ არის! იაპონელებმა, სანამ ხელშეკრულებას გააფორმებდნენ, კარგად შეისწავლეს ციმბირის ტყეების მდგომარეობა, თითოეულ ჰექტარზე ტყის ბუნებრივი მატების პროცენტი და, საბოლოოდ, იმ ოთხ წელიწადში, როდესაც თითქოს პასიურობდნენ, დამატებით ათასობით კუბური მეტრი ხე-ტყე წაიღეს, ფაქტიურად, მუქთად. ამას რუსები გვიან მიხვდნენ, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ასე იქცევა ჭკვიანი, აზრიანი მეწარმე, ბიზნესმენი.

სწორედ ამიტომ, გასაკვირი არ უნდა იყოს ის ფაქტი და რეალობა, რომ ბუნებრივი რესურსებით ღარიბი ქვეყანა მსოფლიოს უძლიერეს ქვეყნებს შორისაა და თვით აშშ-საც მრავალ დარგში სერიოზულ კონკურენციას უწევს.

მართალია დღევანდელ ვითარებაში ჩვენი იაპონელებთან გატოლება მათ ღიმილს მოჰგვრის, მაგრამ, თუ ორიენტირი არ გვექნება წინსვლასა და პერსპექტიული გზების დასახვაზე, მაშინ ფიქრიც კი ზედმეტია.

ვფიქრობთ, დროა გამოვფხიზლდეთ. მარტო სხვის იმედად ყოფნა ვერაფერ სიკეთეს ვერ მოგვიტანს. ავამოქმედოთ რეზერვები და ბერკეტები, რომლებიც ტყეებით მდიდარ რაიონებს გააჩნიათ, ამით ხომ მნიშვნელოვნად გავაუმჯობესებთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას.

თემურ ხუხუნაიშვილი

## ცნობები ბორჯომიდან

### ბიბლიოთეკები ახალი წიგნებით შეივსო

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტის ინიციატივით განხორციელდა პროექტი: „წიგნი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“. პროექტი დაფინანსდა საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან.

საქართველოს 613 ბიბლიოთეკას შორის აღნიშნული პროექტით ისარგებლა ბორჯომის მუნიციპალიტეტში განთავსებულმა 23 ბიბლიოთეკამ და მათი თაროები შეივსო ახალი წიგნებით.

### ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო მწყობრშია

2015 წლის დასაწყისში, ლიკანში, ყოფილი მეოთხე სამმართველოს ტერიტორიაზე, საზეიმოდ გაიხსნა ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „რიქსოს ბორჯომი“.

კარგა ხანს ამ სასტუმროს მშენებლობა შეჩერებული იყო. როდესაც ახალი მენეჯმენტი მოვიდა, საპარტნიორო ფონდმა, ყაზახურ კომპანიასთან ერთად, აღნიშნული პროექტი სულ რაღაც ერთ წელიწადში განახორციელა. სასტუმროს მშენებლობაზე დასაქმებული იყო 600 კაცი, სასტუმროში კი იმუშავებს 200 ადამიანი. სულ შესრულდა 40 მილიონი ლარის ღირებულების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

### ყოფილმა სამხედრო სანატორიუმმა ახალი სიცოცხლე შეიძინა

ახალგაზრდა ბიზნესმენმა, წარმოშობით ნინოწმინდელმა არამ სანოსიანმა, თავისი ინვესტიციებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ყოფილი სამხედრო სანატორიუმის ძირეული რეკონსტრუქციისა და ახალი კორპუსების მშენებლობაში. სამი წლის განმავლობაში აქ დიდი სამშენებლო ფრონტი იყო გახსნილი. ჯერ იყო და ძველი კორპუსი განახლდა და პირველი დამსვენებელიც მიიღო, შემდეგ, ძალზე შეზღუდულ ვადებში, ძველი განახლებული კორპუსის მახლობლად, ახალი, 6 სართულიანი, ულამაზესი შენობა წამოიმართა, რომელიც ამაყად გადმოჰყურებს ბორჯომის ცენტრს.

რამდენიმე თვეა ძველი, მეორე ხარისხოვანი შენობების ადგილზე ახალი კორპუსის მშენებლობა დაიწყო, რომლის დამთავრება მიმდინარე წლის ივნისშია ნავარაუდევი.

მოქმედ კორპუსებში 107 თანამშრომელია დასაქმებული, ხოლო მესამე კორპუსის ამოქმედების შემდეგ, აქ კიდევ 45 ადამიანი დასაქმდება.

სასტუმრო „ბორჯომი პალასი“ - ასე იწოდება უკვე აღნიშნული 4-ვარსკვლავიანი დაწესებულება, სადაც ასობით დამსვენებელს, კულტურულ დასვენებასთან ერთად, მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურებაც აქვთ.

### „დარისპანის გასაჭირი“ - ბორჯომის თეატრის სცენაზე

ამას წინათ, ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის თეატრმა მორიგი სპექტაკლის პრემიერა შესთავაზა თეატრის ბორჯომელ მოყვარულებს.

რეჟისორმა ზაზა კიკნაველიძემ სრულიად ახლებური მიდგომით განხორციელებული სპექტაკლი წარმოადგინა. საუკუნის წინანდელი პრობლემები დღესაც აქტუალურად აღიქმება და ამ ძირითად ხაზს ოსტატურად ავითარებენ სპექტაკლში რეჟისორიც და მსახიობებიც.

აღსანიშნავია, რომ ნიჭიერი ახალგაზრდებით დაკომპლექტებულმა თეატრალურმა დასმა ბორჯომელ მაყურებელს უკვე მეექვსე პრემიერა შესთავაზა და, იმედია, მათი შემოქმედებითი აღმაფრენა ღირსეულად დაფასდება ერთგული მაყურებლების მხრიდან.

### სალოტბარო სკოლა გაიხსნება

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, ბორჯომში, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ სალოტბარო სკოლა გაიხსნება.

სკოლა ხელს შეუწყობს ქართული სიმღერებისა და გალობის აღდგენა-გადარჩენის პოპულარიზაციას, ქართული ფოლკლორის ნიმუშების მოძიებასა და მოვლას.

### ფოტო გამოფენა ილია II-ის მოღვაწეობის შესახებ

ბორჯომის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი ამ დღეებში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოღვაწეობის ამსახველ ფოტო გამოფენას მასპინძლობდა.

როგორც ბორჯომ-ბაკურიანის მიტროპოლიტმა მეუფე სერაფიმემ აღნიშნა, პატრიარქის ფოტო გამოფენა ტიმოთესუბნის 800 წლის იუბილეს მიეძღვნა. საგამოფენო დარბაზში 100-ზე მეტი ფოტო იქნა გამოფენილი.

თემურ ხუხუნაიშვილი

# ჯაუელთა ათასი წელი

◄ დასაწყისი გვ. 2

ლაუნდის შეტევას საზარელი სახე ჰქონდა, რადგან, ამ უკანასკნელს, დაჭრილი ბერძენი სტრატეგოსიც, თავისივე ცხენით, უკან მიჰყვებოდა და მაყურებლებზე დამზაფრავ გავლენას ახდენდა.

გაქცეული ბიზანტიელების დანახვისას ბაჰლაუნდმა კბილებში დაღეჭილი, ბერძნის ცხენის სადავე გადმოაფურთხა, უკან მოიხედა, ბიზანტიურ ცხენს მოეფერა და მასზე დამხობილ, შუბგარჭობილ სტრატეგოსს დააშტერდა. სისხლი ცხენის შუაწელს ეღვრებოდა და თავად კეთილშობილი ცხოველი შეშინებული თვალებით ათვალიერებდა პატრონის მიერ დაღვრილი სისხლის კვალს.

- ბიზანტიელი საკაცეზე დააწვინეთ და მოუარეთ, იქნებ იცოცხლოს! - თქვა ბაჰლაუნდმა და თავის მოლაშქრეებს გადახედა. ისინი გახარებული მისცვივდნენ ჯერ ბაჰლაუნდს, ფოლადის სამუხლეები დაუკოცნეს და, შემდგომ, ბერძენი სტრატეგოსის დაჭრილი სხეულის გადმოწვენა იწყეს საკაცეზე.

მირიანმა, - გავარვარებული აბჯარი შემომხსენითო, - ბრძანა და გაბრიელი ერთი ხელადა წყლით მიეჭრა მას. მოყმის სამკლაურებს ანკარა წყლით უწყო გაგრილება. მირიანს ესიამოვნა ცივი წყალი და არემარეს მიმოავლო თვალი. - ბრძოლაგადახდილი, განსაკუთრებით სახლის მხარეს იხედებაო, - ამბობენ და მოყმემ სწორედ იქეთ დაიწყო ყურება, საითაც ჩორჩანი და მისი მშვენიერი მეუღლე - ლატავრა ელოდებოდა. ვინ იცის, ეხლა რა უჭირს მის მეუღლეს, - გაიფიქრა და გზას დაუწყო თვალიერება. გულში კი მაინც იგრძნო რაღაც სიხარულის მომასწავებელი და ამბის მოლოდინში, უნებურად, გაეღიმა. სულ რამდენიმე ჩქამში, ჩორჩანიდან მომავალი, შარაგზაზე მტვრის ბუღი დადგა. ბაჰლაუნდმა იგრძნო, რომ მალემსრბოლი იყო და გაბრიელს აბჯრის წყლით დასველება შეაწყვეტინა, ცხენს უზანგი ჰკრა და იქითკენ გაქუსლა, საიდანაც მტვრის ბუღი მოდიოდა.

ისინი, რამდენიმე ჩქამში, შეხვდნენ ერთმანეთს. ლურჯმოსასხამიანმა მალემსრბოლმა, ჩორჩანელ-ბაჰლაუნდთა სახლისამ, შორიდან დაჰკრა ყიჟინა და მირიან ბაჰლაუნდს მხოლოდ ეს სიტყვები ჩაესმა ყურთ:

„იშვა მთავრის ძე, დიდო მთავარო... ჯანსაღადაა დედაც და შვილიც. უფალი იესო ქრისტე შეეწიოს, ახალ ჩორჩანელთა“!

ახალ ჩორჩანელთა ხსენებას არ გაუოცებია მირიანი, რადგან შევიდა იგი სახელგანთქმულ ჩორჩანელთა სახლსა შინა, ვითარცა სიძე, დიდ ჩორჩანელთან დასდო პირობა, გაემრავლებინა გვარი მისი.

- „რა დავარქვათ, მთავარო, მემკვიდრეს ჩორჩანეთისას„? მის წინ იდგა აწითლებული მალემსრბოლი და მირიანს მორჩილად შეჰყურებდა.

- „მართლაც, რა დავარქვათ ჩემს ვაჟს? - გიორგი? როგორც დიდ ჩორჩანელებს? არა, არა! იქნებ ჰეროიკული, დღევანდელი გამარჯვების აღმნიშვნელი რამ“, - გაიფიქრა მირიან ბაჰლაუნდმა და, უეცრად, სამკლავედან გამოშვერილ წიგნს მოჰკრა თვალი, ამოიღო იგი და საზეიმოდ თქვა:

- „უკეთუ სტრატეგი იყო დაუმარცხებელი, რომის იმპერიისა, შეუშინებელი და დაუჩაგვრელი, ეგრეთივე იყოს შვილი ჩემი და სახელი მისი იყოს - სულა“!

(დასასრული. დასაწყ. იხ.№1-3-2015 წ.)

# მესხელი მაღრაძეების გვარის წარმომავლობა

## (მირონ პავლეს ძე მაღრაძის ჩანაწერები) (1899-1988 წლები)



გაბოს საბოლოოთ ახალციხის საქალაქო სასწავლებელში დაუწყვია სწავლა და დაამთავრა 1909 წელს. 1910 წელს წაიყვანეს ჯარში და იქ დაამთავრა ერთწლიანი სამხედრო - საფერშლო სასწავლებელი. მსახურობდა პოლონეთში ქ. პეტრაკოვში. დაბრუნდა ჯარიდან 1914 წელს გაზაფხულით და ორი თვის შემდეგ დაიწყო გერმანიის ომი და ისევ წაიყვანეს ჯარში. იყო მოქმედ არმიაში, საველე ჰოსპიტალში. 1915 წელს ავად გამხდარიყო და იწვა ტაგანროგის საავადმყოფოში. იქიდან ექვსი თვით გამოუშვეს სახლში გამოსაჯანმრთელებლად. მოვიდა სწორედ თივის თიბვის დროს. ორი თვე სახლში იმუშავა. ამავე დროს განცხადება ჰქონდა შეტანილი სამოქალაქო სამსახურში მიეღოთ, რაც დრო ჰქონდა დარჩენილი. მართლაც დააკმაყოფილეს და გააგზავნეს გორში სამუშაოდ, ფერშლად. ოთხი თვე იმუშავა და ისევ ჯარში გაიწვიეს. ახლა თურქეთის ფრონტზე მოუწია ყოფნამ. ხან თურქეთში იყო, ტრაპზონში, სოლომონ მეფის საფლავიც ენახა და ხანაც ირანის საზღვრებზე ყოფილა. ნიკოლოზი რომ ჩამოაგდეს, ჯარისკაცთა დეპუტატად აერჩიათ. 1917 წლის აპრილში შვებულებით ჩამოვიდა და როცა ვადა გაუთავდა, თბილისშივე დატოვეს სამხედრო ფერშლათ.

თითქმის ცხრა წელიწადი მოუწია ჯარში ყოფნამ. 1919 წელს ახალციხის ომშიც იყო გაწვეული, თურქების გასარეკად. 1920 წელს გაიხადა სამხედრო მუნდირი და სამოქალაქო სამსახურში გაიგზავნა ქუთაისში. 21 წელს ბაკურიანში მსახურობდა. თბილისში, უმაღლესი სასწავლებელი რომ გაიხსნა, მაშინვე მოეწყო უმაღლესში სასწავლებლად, მაგრამ სიღარიბისა და ცუდი პირობების გამო, წყვეტილად უხდებოდა სწავლა, ოჯახიდან ვერაფერს ვეხმარებოდით, თან მსახურობდა, თან სწავლობდა, მაშინ სწავლა უფასო არ იყო, ხელფასი ძალიან ცოტა ჰქონდა და ასე, 1929 წლამდე გაუგრძელდა სწავლა.

1929 წელში დაამთავრა უნივერსიტეტი, 6 წლიანი. მაშინ ჩვენ თეთრწყაროს რაიონში, სოფელ მენკალისში ვცხოვრობდით და ვეკუთვნოდით ირაგის სოფ საბჭოს. ირაგაში იყო საექიმო პუნქტი, მაგრამ ექიმები არ ჩერდებოდნენ, მეტ წილად ფერშლები იყვნენ, ხან ისინიც არა.

მე უთხარი გაბოს, თუ მოხვალ-მეთქი ჩვენთან სამუშაოდ? რაკი თქვენ იქა ხართ, მოვალო. უთხარი სოფ საბჭოს თავჯდომარეს, მომითხოვონო. იმ დროს სოფ საბჭოს თავჯდომარე კოსტა თოფუზოვი იყო. რომ უთხარი, ექიმი ძმა მყავს და მოითხოვე, მოვა-მეთქი, ძალიან გაუხარდა, ჩვენივე კაცი გვეყოლება ექიმიო. მოითხოვა და 1930 წელს მოვიდა ირაგაში ექიმად. ძალიან კარგი სახელი გაითქვა თავისი კარგი ცოდნით და ადამიანობით. ამ რაიონში თითქმის ყველა ადგილი მოიარა. იყო ჯორჯიაშვილში, ასურეთში, მანგლისში საავადმყოფოს გამგედ, თეთრწყაროში ჯანმრთელობის რაიგანყოფილები გამგედ. 1936 წელს სწავლობს ქირურგიას თბილისში, მანამდე თერაპევტად მუშაობდა, მერე დაიწყო ქირურგად მუშაობა და ძალიან სახელი გაითქვა, როგორც კარგმა დოსტაქარმა. ომმა მანგლისში მოუსწრო. მაშინ 52 წლისა იყო, მაგრამ, როგორც ქირურგი, არ დასტოვეს და წაიყვანეს ომში. ომის დაწყებიდან 1942 წლის ბოლომდის, სულ ომში იყო, ეშელონის მთავარ ექიმათ, რომელიც შედიოდა ფრონტში, იტვირთებოდა ვაგონები და გამოჰყავდათ ზურგში და ანაწილებდნენ საავადმყოფოებში დაჭრილებს. მემრე გადმოუყვანიათ სტალინგრადში, ერთ - ერთ საავადმყოფოს მთავარ ექიმად. ისედაც დაავადებული იყო, კუჭი 1920 წლის შემდეგ სტკიოდა, დიეტის დაცვით და წამლებით იყუჩებდა ხოლმე, როცა ასტკიოდა, ომში, იმ ხანში, რომელი დიეტა შეიძლებოდა დაეცვა. დასუსტებულიყო, დაუძლურებულიყო და მთლად ჩავარდნილიყო ლოგინად. იმ დროს სტალინგრადი საშინლად იბომბებოდა და იქიდან ვოლგის გაღმა სადღაც გაუყვანიათ. რომ შეხედეს, მისგან ვერაფერი კარგი გამოვიდოდა, გამოუშვეს სახლში. რომ მოვიდა, თითონვე უკვირდა, - „კასპიის ზღვაზე გემზე დასაჯდომი ადგილი არ იყო და მეგონა ზღვას ვერ გავახწევო ცოცხალი, მერე ბაქოდან იგივე მდგომარეობა იყო მატარებელშიო, დასაჯდომი ადგილი კი არა, ფეხზე დგომა სჭირდაო“. მას შემდეგ კიდევ ორჯერ გაიწვიეს, მოატარეს ფრონტის პირები და როცა დახედეს მისი ჯანმრთელობის აღდგენა არ ხერხდებოდა, გამოუშვეს და როცა ცოტა მოღონიერდა, ისევ მანგლისში დაიწყო მუშაობა. 1945 წლის გაზაფხულით საგარეჯოში გადასულიყო სამუშაოდ. თბილისში რომ ჩამოსულა ცოლშვილი თბილისში ჰყავდა, ჩემთანაც მოვიდა, ლოტკინის გორაზე. რომ უჭირდა ამოსვლა (ფეხით უნდა ამოსულიყო აღმართში ), დიდუბეში ვმუშაობდი და იქ მოვიდა სანახავად. სამუშაოს შემდეგ მასთან მივედი და დიდხანს ვილაპარაკეთ, ღამის თერთმეტ საათზე წამოვედი შინ. მითხრა, შემოდგომაზე მეწვიე საგარეჯოში, იქ მაშინ ყველაფერი ბლომად იქნება და ერთი კარგი დრო გავატაროთო. ისიც მითხრა, უნდა ვეცადო, იქნებ თბილისში გადმოვიდე, კვირაში ერთხელ მაინც ვნახავთ ერთმანეთს, თორემ, მე ბევრი სიცოცხლე აღარ დამრჩენიაო. და მაინც, ჩვენი ერთად კარგათ შეხვედრა თურმე, ეს ბოლო ყოფილა. 31 სექტემბერს საგარეჯოში დაიღუპა, მუშაობის დროს, შესვენებაზე, ერთი ჭიქა წყალი დაულევია და მისი დიდი ხნის ავადმყოფმა კუჭმა ვეღარ გაუძლო და გაეხვრიტა. მანამ თბილისიდან ქირურგს მოიყვანდნენ, რვა საათი დრო გავიდა. თბილისში, რომ მომხდარიყო, შეიძლება ეშველათ. გაბოს ნეშტი თბილისში გადმოვასვენეთ და დავასაფლავეთ კუკიის სასაფლაოზე. მის ცოლეულებს ჰქონდათ სასაფლაოზე შემოღობილი დიდი ადგილი და მისი ცოლის სურვილით, იქ დავასაფლავეთ, თორემ, მე, ღრმა ღელის სასაფლაოზე მინდოდა დამესაფლავებინა ჩემი შვილის - კაკოს გვერდით.

ჩემი ძმის ცოლი, რუსის ქალი იყო პოტიომკინების გვარისა. მამა კარგი ჰყავდა - მიხეილი. მაგრამ დედა ნემენცი, უვარგისი. მამა რამდენჯერმე გაქცეულა ოჯახიდან და ისევ მობრუნებულა ოჯახში. თითონაც, ჩემი რძალი, დედაზე უარესი გამოდგა. ორი გოგო დარჩა გაბოს - ნათელა და ციალა, რომლებსაც თავისი თავი ანაცვალა და იმ ქალს ვერ მოშორდა. ჩემი ძმა პროვინციაში მუშაობდა და ბავშვები თბილისში იზრდებოდნენ და სწავლობდნენ. ჩემი ძმა ბავშვების ნატრულს იყო, რომ გვერდით ჰყოლოდა. თითონ პატრიოტი კაცი იყო, სამშობლოსა და თავისი ერის მოყვარული და მისმა შვილებმა ქართული არ იცოდნენ. ბავშვები ნიჭიერები იყვნენ, საშუალო სკოლა ორივემ ოქროს მედალზე დაამთავრეს, უმაღლესი ორივემ მოსკოვში დაამთავრა: ნათელამ ფილოლოგიური, ციალამ იურიდიული. არც ერთს არ გაუმართლდა სწავლა. ნათელა სულ სხვა დარგზე მუშაობს, ციალაც მალე დაავადმყოფდა და თვით მკვლელობით დაამთავრა მისი სიცოცხლე. მე - 7 სართულიდან გადავარდა. იმის დედის უგვაროობა უფრო იმით დადასტურდა, რომ მიცვალებულზე რომ მივედით, სახლიდან დაგვითხოვა ჩვენ, გაბოს ნათესავები, თავისი ნათესავები და ძმებიც. ჩვენ კი მაინც არ ვშორდებოდით, გარედან ვტრიალებდით, არავინ ჰყავდა ორი მეზობლის გარდა, ერთი თათარი იყო, მეორე ქართველი. ყველა საქმეს ეს თათარი აგვარებდა დაკრძალვის შესახებ. იმ კაცმა უთხრა: კი მაგრამ -- ნათესავებს არ უშვებ, სხვა ხალხი არ მოდის, ეს მიცვალებული ვინ უნდა გაასვენოს, მე მარტო არაფერი შემიძლია და მეც ვანებებ თავს და რაც გინდათ ისა ჰქენიო. მაშინ ნება მისცა, ახალგაზრდები მოგეხმარნენო. ასე დამთავრდა გაბოს ერთი შვილის სიცოცხლე 1973 წ. აგვისტოს თვეში. მეორე შვილი - ნათელა, გასათხოვარი დარჩა, იმის შთამომავლობის გაგრძელების იმედი არ არის. ჩვენ ახლოს არ გვიკარებს, ნათესაობა გაუწიოთ. დედაც დაუბერდა. არ ვიცი, რას ფიქრობს. გაბოსთან საფლავიც შეივსო, შეღობილში უკვე ხუთი ადამიანი მარხია. გაბოს თავის ოჯახმა ყურადღება არ მიაქცია, რაიმე ნიშანი გაეკეთებინა საფლავზე, შემდეგში არც გამოიცნობოდა მისი საფლავი, რომელი იყო. ძმებს ვთხოვე, თომას და ვასოს, რომ ჩვენ გვეპატრონებინა და გარდაცვალებიდან ოცდაცხრა წლის შემდეგ ჩვენ გავუკეთეთ მცირე რამ - ძეგლი, მის უკვდავ სამყოფად, 1974 წელს.

გაბო იყო უაღრესათ კეთილი ადამიანი: თავდაბალი, მართალი, კაცთმოყვარე, წმინდა სინდისის პატრონი. თავის ცოდნის და ენერგიის ხალხისათვის დაუზოგავი, თავისი სპეციალობის კარგი მცოდნე. ჯერ ფერშალი რომ იყო, მისი დასმული დიაგნოზი არ მტყუნდებოდა და მერე, 1929 წელს, უნივერსიტეტი დაამთავრა. ექიმი გახდა. სასოფლო საექიმო პუნქტში, სოფ. ირაგაში 1930 წელს დაიწყო მუშაობა. ყველა ნაირ ავადმყოფობას ის მკურნალობდა: დიდებსაც, პატარებსაც, ყურსაც, კბილსაც, თვალსაც და პატარა ოპერაციებსაც. მართალია მაშინ ქირურგი არ იყო, მაგრამ ჩვენებურ კუზმა კანიევს შვიდი კოპი ჰქონდა თავზე, ქუდს ვერ იხურებდა. ერთი კოპი ისეთი დიდი იყო, როგორც კარგი კახური ვაშლი. ძირიც ყუნწისავით ჰქონდა, გაბოზე ადრე ერთი ფერშალი იყო, გვარათ ცხვედაძე. მეც იქ შევხვდი, კუზა ეხვენებოდა, ეს ერთი ცალი მაინც მომაჭერიო, მოუსვი ძირში დანა და მომაშორეო. იმან ვერ გაბედა, ვაითუ რამე ძარღვზე იყოს დაკავშირებული და ცუდად გამოგვივა საქმეო. მაშინ სოფლად ექიმები დიდხანს არ ჩერდებოდნენ. როცა ექიმი იქნებოდა, საექიმო პუნქტი ერქვა, როცა ფერშალი იყო - საფერშლო პუნქტი ერქვა. ჩემი ძმა გაბო რომ მოვიდა და მუშაობა დაიწყო, მეც ხშირათ მიხდებოდა იმ სოფელში მისვლა. ჩვენი სოფ საბჭო იყო, საბჭოს წევრი ვიყავი, თან მასწავლებლად ვმუშაობდი და ხან მიბარებდნენ, ხან ჩემ საქმეზე მივდიოდი და ძმის უნახავად არ დავბრუნდებოდი სახლში. თუ სამუშაო საათები იყო, პუნქტში მივიდოდი და იქ ვნახავდი. ერთხელაც მივედი და ვხედავ, კუზმაი დაუსვია სკამზე და კოპებს ატყავებს. ჩემს იქ ყოფნაში სამი ცალი მოაშორა. კოპს ჯერ შემოატყავებდა, ცხიმისებურ რგვალ ხორცს ამოაგდებდა, მერე, რაც მეტი ტყავი იყო შემოაჭრიდა, დანარჩენს ზომაზე შესწორებულს შეუკერავდა. სამი კოპი რომ მოაცალა, კუზმამ უთხრა: ბარემ ეგენიც მომაცილე, არაფერ სიძნელეს არ განვიცდი, არა მტკივაო, მაგრამ გაბომ არა ქნა, ეგენიც ხვალ გავაკეთოთო. კუზმა რომ კოპებიდან განთავისუფლდა, ქუდი იყიდა და დაიხურა, მანამდის ჩვარი ჰქონდა ხოლმე შემოხვეული თავზე. ეს რომ ნახეს, მის ძმას, აგაფანგელას დას - ელენეს, იმათაც ჰქონოდად კოპები, მაგრამ ჯერ ისე დიდები არ იყვნენ და იმათაც მოაცილა.

მესხელი მაღრაძეების გვარის შესახებ მოგონებანი არა სრულია, საჭიროებს დამატებას და შევსებას, განსაკუთრებით 30 - 40 - იანი წლების შემდგომი პერიოდი.

**11 ოქტომბერი 2013 წ.**

**(სტილი დაცულია)**

# ბრძოლი ფალავანი ჩაბლი

ფალავანი ქურთი ჩავიდა თავის ქვეყანაში - თურქეთში, რომელმაც სოფელ არლის ფალავნები დაამარცხა. მასთანვე, მისი მხლებლები, რომლებიც ქურთთან ერთად იყვნენ, მოესალმნენ თავიანთი მხარის ხალხს და უთხრეს: რატომ არის საქმე, ქურთი ხასანი ხომ არ იყო, როგორც აქ გპირდებოდათ, ის სიტყვები შეასრულა თუ არა? უპასუხა ქურთმა, შეასრულა კი არადა, ის იყო მართლაც მართალი კაცი, აქ რაც ილაპარაკა, ყველაფერი მართალი იყო. ქობლიანში, ერთი პატარა სოფლის გურჯები, ამ სოფელში, ისეთი მოჭიდავე ბიჭებია, რომ იცოდეთ, აქავრობაში ძნელათ მოინახება იმითანა ბიჭები. ჩავლისას ერთი დღე დაგვასვენა თავის სახლში, წაგვიყვანა, ყოჩი დაკლა, კარგი პურმარილი გაგვინყო. მეორე დღეს გაველით მოედანზე, რომ გენახათ მთელი მაზრის ხალხი იქ იყო შეგროვილი. გავიხადე ტანთ და დავტრიალდი. მოედანზე ყველამ „მაშალა, მაშალა“ სთქვა. გამომიყვანეს ერთი ახალგაზრდა ბიჭი. მე ვიფიქრე, ამას შევჭამ, მაგრამ ძალიან მაგარი იყო, ისე დამღალა, რომ თითქმის წავიქეცი. როგორც იყო, წავაქციე. გამომიყვანეს მეორე. ბევრი ვეჭიდავე. ორჯელ გვერდზე წამაქცია, მაგრამ არ ჩაუთვალეს. ამ მოედანს სალვარ-ბეგი ხელმძღვანელობდა. ბოლოს მე წავაქციე და მთელ ხალხმა, მამადიანებმა ამწიეს ხელში და ისე მატარეს. თურმე, ყველა მუსულმანს მათზე ინტერესი ქონიათ. მომესნიენ, მილოცამდნენ და ფულს მჩუქნიდნენ. დიდი პატივი მცეს. შემდეგ სალვარ-ბეგმა წაგვიყვანა ჩვენ ყველანი. დიდხანს გვაქეიფა. მასთანვე დაპატიჟა თემის ყველა ბეგობა და დიდი ხარჯი ქნა. თურმე, დიდი სახელოვანი ბეგი ყოფილა, მასთანვე დიდარი. შემდეგ გამოგვაცილა და კარგადაც ფული გვაჩუქა. ცხენიც გამომატანა. ეუბნებიან თურქები: „მაშალა, მაშალა“ ბეგ და დაგვიბარა, ყველა ორ თვეში წამოდით, გადმოდით აქ, არალში. ეს გურჯის სოფელი ძალიან დიდარი სოფელია, თან წამოიყვანე შვიდი-რვა კაცი, თქვენი ზურნა-დოლით. მოხვალთ, იცეკვებთ, იმხიარულებთ, დატრიალდით მოედანზე. ია ხასიმ, ია ხარჩლუღ, ფულს შეაგროვებენ, მოგცემენ. ერთი ხუთი დღეც დარჩით, კარგ პურმარილს გაჭმევენ და შემდეგ წადით და თუ ვინმემ ხელი შეგიშალოთ, მე მაცნობეთო.

ასე მოიქცევით და ყველა ორ თვეში ჩამოხვალთო.

გავიდა ორი თვე. ჩამოვიდა ქურთის ფალავანი, რვა კაცით, სოფელ არალში. იცეკვეს, იმხიარულეს. ფული შეაგროვეს და წავიდნენ. იმ უსინდისო ქურთმა ყოველი ორი თვე არ გადააცილა, ჩამოდიოდა ყოველთვის. ამის ფულის შეგროვებამ და სმა-ჭამამ, სოფელი ძალზე შეაწუხა. სოფლის თავკაცებმა დაიწყეს ფუსფუსი. გაიარა წლებმა. ერთ გაზაფხულის პირზე, პაპა კაჭკაჭიშვილის ეზოში, კამეჩებ წველიდა მითი რძალი. უცბათ, მოღობილში გადახტა სახარე კამეჩი და კამეჩების წველაზე ხელი შეეშალა რძალს. ქალმა გახსნა ჭიშკარი და გააგდო სახარე კამეჩი. კამეჩი კიდევ გადმოხტა კედლიდან. ასე გაიმეორა ორ-სამჯერ. ეზოს ერთ მეტრის სიმაღლეზე შემოვლებული ქონდა კედელი. რძალს გული მოუვიდა. როცა კამეჩი კედელთან იყო გაჩერებული, ამოკრა მუცელში ხელი და კედლის იქით გადააკოტრიალა კამეჩი. ამ დროს შეხედა სოფლის თავკაცმა მალვენ თათეშვილმა - კაჭკაჭიშვილების რძალი იმ ზამთარში იყო მოყვანილი. გაიარა ამ ზაფხულმა, მოვიდა შემოდგომა. მიწურული შემოდგომაა, როცა თოვლიც მოვიდა, ვნახოთ, ქურთს წამოუყვანია რვა კაცი თავისი დაული ზურნით. ცხენებით მოვიდნენ მოედანზე და ატყდა ხმაური. როცა ესენი გადმოივლიდნენ ახლო სოფლებს, ხალხი უცბათ მოიყრიდა თავს სოფელ არალში. არლის მოსახლეობას კი ძალიან სწყენდათ ეს მდგომარეობა. გიმართა ახალგაზრდობის ჭიდაობა. გაგრძელდა მეორე დღესაც. მეორე დღე კვირა დაენთხვა. მოიყარა დიდძალმა ხალხმა თავი. დადის ქურთი და თოვლში თავს ფლამს, ტანზე თოვლს ისვამს და ამბობს: „ია ხასიმ, ია ხარჩლუღი“! სოფელ არლის თავკაცმა მალვენ თათეშვილმა დაუძახა კაჭკაჭიშვილი პაპა და მოახსენა: მოდი, შენ სახლში შევიდეთ, ცოტა საქმე მაქვს. შევიდნენ სახლში. უთხრა: ერთი საიდუმლოება უნდა გითხრა: მოდი, შენი რძალი მაგ ოხერ ქურთს ვაჭიდავოთო. შენი რძალი მაგ ქურთს დაამარცხებს. კაჭკაჭიშვილის პაპამ დაიწყო ტირილი. რას ამბობ, ბიჭო, დევივით ბიჭები დაამარცხა, დედაკაცს რა შეუძლია.

- მე რომ შენი რძალის მარიფათი ვნახე, მაგას დაამარცხავს, - უთხრა თავკაცმა.

- რა ნახე შენ?

- ამ გაზაფხულზე, ერთ დღეს, მე ქვევით მივდიოდი. დილით შენი რძალი კამეჩებს წველიდა, ერთი სახარე კამეჩი ბუღა გადახტა თქვენ ხალხამში, კამეჩები გაფანტა აქეთ-იქით, თქვენ რძალმა ჭიშკარი გახსნა და გარეთ გამოაგდო ერთ-ორჯერ. კამეჩი კიდევ გადახტა ხალხამში. რძალს გული მოუვიდა, ამოჰკრა ორი ხელი და კედელს იქით გადააკოტრიალა კამეჩი. თუ მახელა კამეჩს მაღლა აისვრის ერთმეტრიან კედელზე და გაისვრის, წინ ვიღა დაუდგება? ეს ამბავი მთელი ზაფხულია ჩემ გულშია, ჯერ არავისთვის მითქვია, ისედაც ტანადი და ხელფეხიანი ქალია, მოდი, დავაძახინოთ რძალი, ვისმეს.

- კარგი და დაეჭიდოს, ტანი რომ გაიხადოს, ხომ ქალობა შეემჩნევა და ოჯახი უნდა გამილანძღო და რძალი გამიუბედურო.

- ამოდენა მეჯლიშში იმას ტანის გახდა არ დასჭირდება, ის თვითონ მოიგვარებს, შენ მაგაზე ნუ ფიქრობ, მხოლოთ, რაც მოხდეს, ჩვენის მეტი არავის ეცოდინება. გფიცავ.

- თუნდაც რომ რძალმა დაამარცხოს, მე ოჯახს ამიწიოკებენ, ეს ამბავი ხალხში რომ გავიდეს, დავიღუპები, მოვლენ ერთ ღამეს ეს ურჯულოები და სახლით ამომწვებენ თათრები. უყურე, იოსება აფრიამაშვილმა რომ წააქცია, მთელმა თათრობამ, რა ქნეს, ძალიან ძნელი საკითხია. მერე მე რას მიპასუხებს, ჯერ მემუნჯება, ხმას არ მცემს, ყმაწვილი ქალი მაგ ველურ ფალავანთან? რას მიშრობი, მიღუპავ ოჯახს?

- პაპა, შენ სრულობით ნუ გეშინია. ერთი რძალი დავაძახინოთ, ვნახოთ, ის რას იტყვის, გაბედავს ამ საქმეს თუ არა კაჭკაჭიშვილი?

პაპამ დაუძახა თავის გასათხოვარი გოგო, რომელსაც რძალი არ ემუნჯება და უთხრა: წადი, სეირიდან რძალი დაუძახე, სახლში შემოვიდეს, სხვა არავინ შემოვიდესო.

- რძალო, უთხრა მამამთილმა, ერთი რამ უნდა გითხრა, ვერ გამიბედია, რა ვქნა და დაიწყო ტირილი. რძალმა მულს უთხრა, თქვას, რაშია საქმეო.

- შვილო, ხომ იცი, მთელი სოფელი გაგვატყავა მაგ ოხერმა ქურთმა. ფული მიე, ცხენები უკვებე, თვითონ კარგათ აჭამე, ჩვენ სოფელს აღარ შეგვიძლია, თუ შენ რამე წყალობას იზამ, სხვა საშუალება აღარ გვაქვს, შენ უნდა დაამარცხო ეგ ოხერი ქურთი.

უთხრა რძალმა მულს: მაგისთვის რას ატირებ, მე დიდი ხანია გუნებაში მაქვს, მაგრამ ვერ ვბედამდი, მხოლოთ, რაც მოხდეს, სახალხო არ გამხადოთ. ჩვენ ოთხმა ვიცით, სხვა არავინ უნდა გაიგოს. სუყველამ შევფიცოთ. რძალმა უთხრა: აბა, საჩქაროთ მე მომინახეთ ისეთი ჩოხა, სალვარი, როგორიც მე მომერგება თავის ბაშლაღით და ზანგლეებით. იცოდენ, იმ ტანისა ვინ იყო, საჩქაროთ მოუტანეს და ჩაიცვა, გამოეწყო და ბაშლაღი ყელზე შემოიხვია. შევიდა ხალხის სიმრავლეში იმ დროს, როცა ტანგახდილი ქურთი გოძოზე ზის. დაუახლოვდა და უთხრა: „სალამ ალეიქუმ“ და ხელი გაუწოდა. ხელი რომ ჩამოართვა, ისე მაგრათ მოუჭირა, რომ ოთხივე თითის წვერებიდან სისხლი გაუვიდა. ქურთს ფერი ეცვალა, შემდეგ მხარზე დაარტყა ხელი და უთხრა: ყოჩაღ, იგითხან. მოარტყა დიდი თითი და მხრის ძვალი მოტეხა. ჩამოუვარდა მკლავი. გამოტრიალდა რძალი, შევიდა სახლში, გაიხადა კაცის ტანსაცმელი, თავის ტანთ ჩაიცვა და გავიდა იმ ხალხის სიმრავლეში. ეს ამბავი არავისაც არ უგრძვნია, უთხრა მამამთილმა, როგორ არის საქმე. თქვენ წაუგდეთ ყური, დამარცხდა ფალავანი. ყურადღება მიაქციეთ ახლა, გაიქცევა, გაიპარება. აქედან ქურთმა დააძახინა თავისი მხლებლები, ხალხის სიმრავლიდან, ძალიან მორიდებით და უთხრა, ტანსაცმელი მომიტანეთო. ჩააცვეს თავისი ტანსაცმელი, გაჭირვებით. უთხრა, წადით საჩქაროთ ხევში, ჩამოიყვანეთ ცხენები და გავიპაროთო. ასეც მოიქცნენ და ეს სუყველანი გაიპარნენ ღელე-ღელე. აქ კი დაკვრა და ახალგაზრდების ჭიდაობა მიმდინარეობდა. ეს ამბავი ბევრმა მაყურებელმა ვერც იგრძნეს. სოფელ არალთან მახლობლათ, ერთი თათრის სოფელია - წარბასუბანი. მივიდა ქურთი ფალავანი და ტირის, მიშველეთო. აქ თუ ექიმბაში არის, მომიყვანეთ, იმის სახლში საქმე გლახათ არის. მიიყვანეს ექიმბაშთან, შეუკრა მოტეხილი და გაუშვა. ფალავანი ქურთი ამბობდა: ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი მომესალმა, ხელზე ხელი მომიჭირა, თითის წვერები დამიხეთქა. ეხლაც ხელი კიდევ ვერ გამიშლია, მერე მხარზე დამარტყა ხელი, კარგი ვაშკაცი ყოფილხარო.

*

ახლა ეუბნებოდა მამამთილი რძალს, როგორ მოხდა, მე სულ შენ გიყურებდი, შენ რომ მეიდანზე შეხველი და ფალავნისკენ წახველი, სულ შენ გიყურებდი და შიშით ვკანკალებდი, ვნახოთ, რა მოხდებაო. ბატონო, შენ ეხლა დაანებე მაგ ლაპარაკს თავი, არავინ გაგვიგოს, ის ამ სოფელში ველარ მოვა და თავიანთ ქვეყანაშიც კაცად აღარ ივარგებს. შენ მამა ცხონებულო, თუ მაგთენი შეგეძლო, რაღას ვღუპავდით სოფელს.

- მამა, მე ჩემით ვერ გავბედავდი, ის რომ ჩამოვიდოდა და მოედანზე ტრიალებდა, მე გული მომდიოდა და ვკანკალებდი. მამა, წადი იმ სოფლის თავკაცს მოახსენე, რომ საქმე კარგად არის, მხოლოდ ფრთხილათ იყოს, არსად წამოსცდეს და არ გამაქვეყნოს, ვითომც სულ არაფერი.

გაიარა მრავალმა წელმა, არავინ არ იცოდა, თუ როგორ მოხდა ეს ამბავი, როცა საბჭოთა ხელისუფლება შემოვიდა, იმ დროს გამოქვეყნდა სოფელში ეს ამბავი, იქამდის დაფარული იყო, ვინაიდან აქ თათარი ბევრი იყო, ქართველობა ძალიან ცოტა ვიყავით, თათრები მოვიდნენ და შურს იძევდნენ, ოჯახს დააზიანებდნენ.

- მხრის ძვალი მომტეხა. ნეტავი ის ახალგაზრდა სადაური იქნებოდა, კიდევ კარგი, რომ არ მეჭიდავა, თორემ ჯიგარს გამომიღებდა. კაი გადავრჩი, ეუბნებოდა ამხანაგებს, სადაური იქნებოდა და ისევ არალიდან, თორემ ჩვენი მუსლუმანები ვინ გაგიკეთამდა აგრე და ვინ გაგიმეტებდა. ნეტავი გვენახა, რაგორი ვაჟკაცი იყო, - ამბობდა ქურთის ფალავანი. რაც ვჭამეთ სოფელ არალში, იმაზე მეტი ვარწყიე, ვკვდები კაცი, ამოუწყდა თავი სალვარ-ბეგს. მე აქ რა მინდოდა, ამთენა გზა გადმოვსულიყავ და მეჭიდავა, მე ჩვენს ქვეყანაში კარგი სახელიც მქონდა და ხალხიც კარგათ პატივს მცემდა, ეხლა კაცათ აღარ ვარგივარ, დამეღუპა ოჯახი, ჭიდაობა კი არა, სიცოცხლე დავკარგე, - ტიროდა ქურთი ფალავანი. ეუბნებოდა ამხანაგები, ეგრე პატარა სოფელს მაგითანა ახალგაზრდა ყავს. კიდევ კარგი, რომ ჩვენ რომ ჩავდიოდით სუყველა, არ ამოგვწყვიტეს, კაი გადავრჩით, - ამბობდნენ არდაგანელები. არდაგანში რომ ჩავიდნენ, სირცხვილით კარზე ველარ გამოდიოდნენ ქურთი ფალავანი და მისი ამხანაგები. ბევრ კაც და ქალს ბევრნაირი გმირობა აქვს გაკეთებული, მაგრამ დაფარულია, ასე, რომ არ ყოფილიყო, ეს ერთი მუჭა ქართველები ამ მესხეთს ვერ შეინარჩუნებდნენ. მრავალჯერ დასხმა ყოფილა, მაგრამ დამარცხებული დაბრუნებულან თათრები.

**მთქმელი არტემ აკოფაშვილი, 85 წლის, ჩაიწერა მაყვალა თათეშვილმა 1990 წელს**

## ახდილა

ურავლის წარმტაც ხეობაში, ბაღებს შორის, ყურადღებას იქცევს ნასოფლარი „ახდილა“. რატომ ჰქვია ეს სახელი? ამის შესახებ მესხეთში შემორჩენილა თქმულება, რომელსაც აქვე გაგაცნობთ.

როდესაც მტრები შემოესივნენ მესხეთს, იმათ ჯარს ამ სოფელშიც გაუვლია. შეშინებული ხალხი დარნებში (სამალავებში) ჩამალულა, მტრის ერთი ჯარისკაცი უკან ჩამორჩა, ველარ შეძლო სიარული და იქვე ჩამოისვენა. ამ დროს დარნიდან მოესმა ბავშვის ტირილი. მიხვდა, რაშიც იყო საქმე. წამოეწია თურმე თავის ჯარს და უფროსს მოახსენა, - ხალხი დარანშია ჩამალულიო. ისინი უკან მობრუნებულან. დარანის სახურავის ქვა აუხდიათ და დაუნახავთ, რომ მოხუცებს, ქალებს, გოგონებს და ბავშვებს თავი იქ შეეფარებინათ, ხოლო ჯეელი მამაკაცები ბრძოლის ველზე წასულან. მტერმა, თურმე, მოხუცების გარდა, ყველა ამოხოცა. ხანდაზმულთ სისხლის ცრემლი დასდით და ბრძოლის ჟინით აღივსნენ. მუხუცებს უთხრეს, ფერხული დაუარეთ და იმღერეთო, თორემ, ცეცხლში დაგწვავთო. მოხუცები ფერხულს უვლიდნენ და თან ოხვრით აღმოთქვამდნენ შემდეგ სიტყვებს; „ახ, დილავ, ახ, დილავ, შავათ გაგვითენდიო. ჩიტი შჭამდა გოგრასაო, ვაი, ჩვენს ამ დროს მოყრასაო“.

მერე მტრებს ისინი კვერით დაუხოცავთ და... იმ ნაოხარ ადგილს ხალხმა „ახდილა“ შეარქვა.

## დარანი

ვინ იცის, გეოგრაფიულ სახელებში ხალხის რა დიდი ჭირვარამია ჩაქსოვილი. მესხეთში, მაგალითად, შეხვდებით ასეთ გეოგრაფიულ სახელებს: ლეკმინა, დამკალი, შუაკარავი, სატყეპელა, ქალის სახტომელა, ქალათაფა, სულთმეწია და მრავალი სხვა.

ლეგენდებია შექმნილი „დარანზე“. რა არის „დარანი„? დარანში დღეს ისტორიული ავბედითობის ნაშთია, იგი მიწისქვეშა საიდუმლო ნაგებობაა, რომელიც ერთობ გავრცელებული ყოფილა მესხეთ-ჯავახეთის სოფლებსა და ქალაქებში, როგორც ვთქვით, დარანი მიწისქვეშა ნაგებობაა, მრავალმხრივ განშტოებული ხვრელებით. იგი აგებულია ლოდებით. დარნები დღეს ჟამგადასულობის მტვრითა და ხავსით არის ამოვსებული.

ძველი მესხური სოფლები - მუსხი, ღრეღი, უდე, ვალე, სარო, ხიზაბავრა, ზველი, ჭობარეთი, ერკოტა, დადეში და სხვა, - დარნებით ყოფილა მოფენილი. ხიზაბავრის დარნები ხალხურ ლექსშიაც კი არის შექებული:

ხიზაბავრა ქარიანი,
დარნები აქვს კარიანი.

ოსმანთა თავდასხმების დროს, ხალხი ამ დარნებში იმალებოდა, რომ თავი გადაერჩინათ.

სოფელ დადეშის მკვიდრმა სანდრო ივანიძემ გვიამბო: მტრის თავდასხმების შემთხვევაში, ჩვენი მამა-პაპანი ამ დარნებში იმალებოდნენ, მიუვალი ყოფილა, ასავალ-დასავალს ვერ უგებდა მტერი თურმე, ჰოდა, ერთხელ, სოფელს თურქ-ლეკნი დასცემიან. მტერს სოფელი ცარიელი დახვედრია. თურმე დარნებში მოუსწრიათ ჩამალვა. ჯარი დაბანაკებულა სოფელში და დალოდებიან ხალხის გამოჩენას. ეგონათ, სურსათი შემოელევათ და იძულებული გახდებიან, მზის სინათლეზე გამოვლენო. მტერმა შვიდი თვე გალია ლოდინში... ერთ დილას დაინახეს, რომ ვიღაცას ლოდზე დაუდვია ახალი მოხარშული თევზი და ცხელი პური. მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე, მათ თავკაცს უთქვამს: ამათ ჩვენ ვერაფერს დავაკლებთ, ყველა სახსარი შიგვე ჰქონიათო. აყრილან და წასულან, მაგრამ დარანში ჩამალვა ყოველთვის ვერ შველოდა მესხებს. მტერი ზოგჯერ მიაგნებდა დარნის ასავალ-დასავალს და უმოწყალოდ ხოცავდა ხიზნებს. ამგვარ შემთხვევაზე მიგვითითებს „ახდიას“ სისხლიანი ტრაგედია.

**მთქმელი**
**პავლე მღებრიშვილი, ადიგენი**

# ვაჟა და გალაკტიონი





1989 წლის გაზაფხულია. მერაბ კოსტავას დაბადების დღე ახლოვდება, ამ დღეს, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ არავინ აღნიშნავდა. ხელისუფლების მხრიდან მრავალი პროვოკაცია იყო მოსალოდნელი და ამიტომ ახალგაზრდების საკმაოდ დიდი ჯგუფი, კოსტავას სახლს, ასე ვთქვათ, „ვდარაჯობდით“ - მის „მშვიდ ძილს“ ვიცავდით. თუმცა, ბატონი მერაბი ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო.

- უშიშროება თვითონ გვიცავს, არაფერი დამემართოს, რომ მერე მათ არ დაბრალდეთ ჩვენი უბედური შემთხვევაო, - ამბობდა ხოლმე.

ჩვენ მაინც ჩვენსას არ ვიშლიდით. ჰოდა, იმ საღამოს, ოთახიდან ცხარე კამათის ხმა შემოგვესმა. გარეთ მდგომნი გასუსულები ვუსმენდით. ცოტა ხანში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ბუზის ხმას გაიგებდა კაცი. ყველას გვაინტერესებდა, რა ხდებოდა შიგნით.

უცებ, ვიღაცამ, ვაჟა-ფშაველას ერთი აფორიზმი თქვა, მერე მეორემ, მესამემ გააგრძელა და... მეც ავყევი. ასე გავეჯიბრეთ ერთმანეთს პოეზიაში. ამ დროს ერთმა, დამოუკიდებლობის პარტიიდან, გვარად, მგონი, მოდებაძემ, გალაკტიონის ციტირება დაიწყო და... ვაჟა-ფშაველა ტაბიძესთან, არაფერიაო, - მტკიცედ თქვა... შევცბით! კამათი გაცხარდა. უმეტესობა ვაჟას ვაღმერთებდით, - ის ჩვენი „ფალავანი“ იყო, იმერლების უმეტესობამ გალაკტიონს დაუჭირა მხარი.

- მან სატანას უძღვნა ლექსი, - „წამოგვეშველა“ ვიღაცა და ქვა ისროლა ტაბიძის მომხრეთა მხარეს. კამათი ისე გაცხარდა, სულ დაგვავიწყდა, იქ, შიგნით, სადაც ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და სხვა დისიდენტები იმყოფებოდნენ, კამათი როგორ შეწყდა და ახლა იქ ჩამოვარდა სამარისებული სიჩუმე; ახლა ჩვენსკენ გადმოიტანეს მთელი ყურადღება. უცებ კარი გაიღო და ზვიადი გამოჩნდა. ყველამ ენას კბილი დავაჭირეთ და გავიყუჩეთ. ზვიადმა ჯიქურ გადმოგვხედა და, ის იყო უკან უნდა შებრუნებულიყო, რომ - კარებს ხელი ჩავჭიდე, საშუალება არ მივეცი წასულიყო და მუდარით ვთხოვე: ბატონო ზვიად, იქნებ გვითხრათ რამე, ვიდრე იმერლები არ „გვიცემია“, აგვიხსენით - ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონს შორის რომელი უფრო ეროვნული და დიდი პოეტიაო.

მან კარები ზურგს უკან მიხურა, გამომწვევად ჩაიღიმა და ბრძანა:

- ნეტავი თქვენ, რომ საზრუნავი გამოგელიათ, - „იმერლებისკენ“ შეტრიალდა და განაგრძო -

გალაკტიონი დიდზე დიდი პოეტია, საოცრად დიდი, როცა მის პოეზიას ეცნობი, არ შეიძლება ფრთები არ გამოგესხას, სულ გრძნობ, ქართული მიწის სურნელს, მას ფრთებშესხმული აჰყავხარ ზეცაში, მთელ საქართველოს, მის მთასა და ბარს შემოგატარებს, მერე ისევ დაგბრუნებს დედამიწაზე და ფრთხილად დაგსვამს ნასიამოვნებს ნანახითაც და აღთქმულითაც.

გულის სიღრმეში რაღაცა ჩამწყდა, ესეც „გალაკტიონისტი“ ყოფილა, გავიფიქრე უნებლიედ, მე ხომ წაგება არ მჩვეოდა და ვერ ვეგუებოდი მის ნათქვამს. მერე ზვიადი ჩემსკენ შემოტრიალდა, ხელი მსუბუქად იდაყვზე დამაყრდნო და მითხრა:

შენი მესხობა ყველგან და ყველაფერში ჩანს, საშუალო არასოდეს გაგაჩნია, ყოველთვის რაღაცა უკიდურესობის მხარე გიჭირავს, ეს კარგიც არის და ცუდიც. როგორც ვაჟა იტყოდა - „ბილწს არ შავეკვრი ზავითა“. მერე ცოტა ხანს ჩაფიქრდა და განაგრძო: ვაჟას თუ ეზიარე, იმ წუთს აბჯარში ჩაგსვამს, ირემზე აგამხედრებს და მთელ საქართველოს ჭირ-ვარამს დაგანახებს. ბახტრიონზე საბრძოლო ნათლობას რომ მიიღებ, იქვე მტრის პატრონობასაც გასწავლის, რომ შენც მტრის ღირსეული მეტოქე იყო და მოყვასის სიყვარულსაც ნანასავით ჩაგიდებს ტვინში. თუ ცრემლი დაგინახა ომში, ან თუ წაქცეულს წიხლს ურტყამ, ლაჩრობად ჩაგითვლის, ხოლო თუ სამშობლოს დატირება დააკელი, ვაი შენი ბრალი. ასე გაცოცხლებს ზვიადაურის, ჯოყოლას, ზეზვას, ლელასა და მინდიას სახით, შენში არც გოგოჭურად ყოფნა გაგიკვირდება, არც აფშილას დაიწუნებ, რადგან თვითონ იყო ამ გმირების ქურქში, რომ კაცისთვის კაცობა არ შეელახა და მტერიც ღირსეული ჰყოლოდა. აბა, როგორ დაეტეოდა ხევსურის სულში სილაჩრე, ხომ არა შეიძლებოდა იგი ლაჩარი კაცუნასაგან განგმირულიყო. შეიძლება ლომი ტურამ მოკლას? არა, ლომის მკვლელი მხოლოდ ლომი უნდა იყოს. და თუ სხვაგვარადაა საქმე, მაშინ ის ვაჟას კალმის ღირსიც არაა. აი ასე ამხედრებული, ბრძოლებში დაღლილი, თუ ვაჟას გმირად იქეცი, მიწაზე ვეღარ ჩამოხვალ, ის აუცილებლად ღმერთთან მიგიყვანს. შენი ადგილიც იქ იქნება, რადგან შენ ვალმოხდილი ხარ დედამიწაზე და გმირის სიცოცხლე დადამიწაზე უკვე წარმოუდგენელია, გმირი ყოველთვის ზვარაკია ღვთისაც და ერისაც.

რომ დამინახა თვალები ამიწყლიანდა, საჩვენებელი თითით ლოყაზე მომჩქმიტა და ოთახიდან გავიდა.

არავის ხმა არ ამოუღია, მერე არც არასოდეს გვიკამათია ამ თემაზე, იმდენ ორომტრიალში არც გაგვხსენებია. მხოლოდ, 1992 წლის 6 იანვარს, დილით, როცა უზენაესი საბჭოს შენობას ვტოვებდით, ზვიადი გამოგვემშვიდობა ყველას. მაშინ გულმა რეჩხი მიყო, ვიგრძენი, მას ვეღარასოდეს ვნახავდი, ისიც ვიცოდი, რომ ის ზვარაკად შეეწირებოდა საქართველოს.

ზელიმხან მაღრაძე

# ვაჟა ტერიანი - 130



## ვაჟა ტერიანი

### აისი

ველურ მწვერვალებს თავზე ვევლები,
მწვერვალთა ირგვლივ ყეფენ ქარები,
დაბლა ჯერ კიდევ თვლემენ ველები
მკაცრი სიბნელით და მდუმარებით.
მაგრამ საცაა შორეულ მწვერვალს
მზე ჩამოუყრის ოქროს ჩქერალებს,
მოევლინებათ, ვით ბედისწერა,
სხივი ლამაზი და მოელვარე.
შენც გაიღვიძებ და ამღერდები
გახარებულო, ჩემო მამულო,
შენი მთებით და შენი ქედებით
იტყვი სიმღერას სასიყვარულოს.
მთებზე სიბნელე თუმცა მზაკვრულობს,
სულში აისის სხივი ფათურობს,
სალამი ძმებო, ბედით ჩაგრულნო,
ციხის საკნებში მიმოფანტულნო.

* * *

როგორც ცხადში, სიზმრად ვნახე,
ერთი ოქროს კარი ვნახე,
ზედ ფირუზის თაღი ვნახე,
თაღთან ცეცხლის სვეტი ვნახე.

თეთრი ნეკერჩხალი ვნახე,
სამოთხისა ბაღი ვნახე,
ამ თეთრ ხეზე უფრო თეთრი
ანგელოსი დავინახე.

ოქროს ღვინით მოციმციმე
სავსე სასმისები ვნახე,
ორი გამგმირავი შუბი,
ორიც მარგალიტი ვნახე.

დაჭრილი და დაჩეხილი
საკუთარი გული ვნახე,
ნათელი და ცხელი გული
სისხლით მომბზინავი ვნახე.

სახე ჩემი ჯალათისა
მდგარი ჩემივ გვერდით ვნახე,
ვუთხარ, აჰა, ეს მზე ჩემი
სისხლის ტბაში შემინახე.

### დაბრუნება

კვლავ მარტოობის ბნელი ციხიდან
დავბრუნდი ნაღდი, გაუტეხავი,
შემხვდა ხმაური, ლაღი, ხითხითა,
რომელიც ჩემს სულს ანთებს, შეხარის.

ო, ჩუმი ტანჯვის უძილო ღამეს
ახალმა ნატვრამ დაუნთო ცეცხლი
და სიხარულის საამო წამი
შემოდის, როგორც ჭყლოპინი მერცხლის.

ცეცხლოვან სიტყვით ყელს მოვიღერებ,
ახალ დღეების ქართან შებმული,
გამარჯვებული ბრძოლის სიმღერებს
შევეგებები გამარჯვებული.

ხოლო ფრთას გაშლის ოდენ სიკვდილი,
ოდეს მოდგება მტერი ქვა-ლოდით,
განთიადისას ერთს შეგიკივლებთ -
ძმებო, აღსდექით, ძმებო, გამოდით!

### შემოდგომის დილის სიმღერა

დღე გათენდა ისეთი
უშუქო და ჩამქრალი,
თითქოს ყველა სინათლე
უძლურ გულში ჩავკალი.

გულში ბნელა, სულშიაც
არის უიმედობა,
იქნებ სულზე მომისწრო,
იქნებ მითხრა შენდობა.

ქარიშხალი არ მიშვებს,
წვიმაც გადამეღობა,
ნუ დამტოვებ ეულად,
ჩემი სევდაც მეყოფა.

თარგმნა ჯანსუღ ჩარკვიანმა



**„იცით, რა მაოცებს ყველაზე მეტად? ის, რომ რაც უნდა ეცადო, ძალმომრეობით ვერაფერს შექმნი და ვერც ვერაფერს დაამტკიცებ, ქვეყნად ორად ორი ძალა მეგულება: ხმალი და გონება. საბოლოოდ გონება მუდამ ჯობს ხმალს“.**

*ნაპოლეონი*

## ხალხური პოეზია

***

ხმალს კოცნის ბიჭი ანტონა,
თათრები ვხოცე ამითა,
აივსო ჭანჭახის ფერდი
ურჯულოების ძვლებითა,
ტურებს დააცვდათ კბილები,
იმათი ლეშის გლეჯვითა.

***

ვერ შეაშინებ ხმლის ქნევით
ბიჭს გაბედულის შვილსაო,
მტერი თუ შემოეყარა,
მარჯვენებს მკვირცხლად ჭრისაო.

***

ანტონამ ხმალი გაჭედა,
პირი უსინჯა ქვაზედა,
წელს შემოარტყა თავის შვილს:
- არ მოიშორო ტანზედა.

***

ჭირიმე შენი მესხეთო,
სადაც რუსთველი ბრძანდება,
„ვეფხისტყაოსანს“ ამღერებს
ირგვლივ მზის სხივი დადგება.

***

ვისაც არ ესმის ერის ხმა,
რა არის სამსახურია, -
გაიგოს, როგორ გვხოცამდნენ
აუდუღდება გულია.

***

ჩემი მგვანი უქონელი
არ იქნება არსად კაცი,
ყველას თითო ბედი სწყალობს,
ყოჩაღია თუ ზარმაცი.
არ მეგონა კარგის ნაცვლად
თუ რამ ავი მომელოდა,
ოხრობა და ვაი-ვიში,
წინდაწინვე მზადდებოდა.

***

თათრების მჟლეტი ვაჟკაცი
უქმად გდებასა ჩიოდა,
მხარში ხმლით იყო დაჭრილი,
სისხლი წვეთ-წვეთად სდიოდა,
უბრალო ვინმე გვეგონა,
თურმენა ბეჭიც სტკიოდა.

***

თათრებში ქალი ტიროდა,
თვალები უგავს მწყერსაო,
მესხეთის ამბებს კითხულობს,
ფიცულობს მაღლით ღმერთსაო!

***

ჩემო ლამაზო მესხეთო
რა ვქნა, დიდი ხნით გშორდები,
თუკი რამ ვალად მიმყვება,
მოვალ და გაგისწორდები,
ბანზე დამიხვდი დედიჯან,
დაო, ნუ გამითხოვდები,
თუ ცოცხლად დავრჩი, როგორმე
ხის ძირას წამოვგორდები.

***

სოფლის რჩეული ვაჟკაცი
საქებარია ენითა,
ტოლებში გამოირჩევა,
მარჯვენა მკლავით, ხელითა,
მტერზე პირდაპირ მიმსვლელი,
ჭექა-ქუხილით, ელვითა,
პურ-ღვინის პატივმცემელი,
ქეიფითა და ლხენითა.

*მთქმელი იოსეპ ვარდიძე, 78 წლის, ახალციხე, ივლიტა. ჩაიწერა სოსო გიძოშვილმა 2015 წელს*

## ვეტრეს სარდაფი

# ქაჯთულად აგებული წესი

ბიძა მყავდა, რომელმაც საფრანგეთში 25 წელი იცხოვრა. 1947 წელს მოტყუებით ჩამოიყვანეს და შუა აზიაში გადაასახლეს. იქაც მრავალი წელი გაატარა. მე რამდენჯერმე ჩავედი მასთან. ხშირად მეტყოდა, იმდენი რამე გადამხდა თავს, ურიგო არ იქნება მოგიყვე, დაინტერესდებიო. მართლაც, ბევრი რამე მომიყვა. ერთი ჩვევა ჰქონდა: საუბრის დროს თუ პირდაპირ თვალებში არ უყურებდი, მაშინ გაწყრებოდა, სხვაგან რომ გაიხედავ, გულისყურიც იქითკენ გაქვს და ვერ ჩაიბეჭდავ გონებაში და მალე-ვე დაგავიწყდებაო. რადგან ვიცოდი მისი ხასიათი, მეც თავდაჯერებით სულ თვალებში მივჩერებოდი. რადგან შემატყო დაინტერესება, მომიყვა ასეთ ამბავს:

აქ, ტაშკენტში, მარტო მე კი არა, მრავალი ეროვნების ათასობით ადამიანია გადმოსახლებული. ჩემთან ახლოს, - ხელი გაიშვირა მეზობელი სახლისკენ, - გერმანელების ოჯახი ცხოვრობს, როცა ჩამოგვასახლეს, აქ ისეთი უკაცრიელი, დაჭაობებული ადგილი იყო, ყველამ ხელი ჩავიქნიეთ - აქ ამოგვხდება სულიო. მართლაც, ბევრი დაავადდა და დაიღუპა. სასმელი წყალი არ იყო, გარდა ჭაობიანი გუბეებისა, ისიც ჭუჭყიანი და ათასი მიკრობებით სავსე. აუდუღებლად მისი გამოყენება სიკვდილს ნიშნავდა.

„ჭირმა მიჩვევა იცისო“, სხვა გზა არ გვქონდა, გინდა თუ არა, ასეთ ბედს უნდა შევგუებოდით. როცა ჩაგვიყვანეს, აქ არავითარი დასახლება არ იყო. ჩვენ თვითონ ავაშენეთ ალიზი აგურისაგან კედლები, სახურავი მსხვილღეროიანი ბალახისაგან გადავხურეთ, ოთახიც უბრალოდ, ისევ შეძლებისდაგვარად, ტალახით შევლესეთ, საწოლიც კი ისლის ღეროებისაგან იყო მოწყობილი. ეს იყო ძირითადად საძინებელიც, საკუჭნაოც. არც საყოფაცხოვრებო ჭურჭელი გვქონდა. ჩვენ, გადასახლებულები, ისედაც განწირულები ვიყავით. ძალიან ბევრი ქვეწარმავალი იყო და მათგან დაკბენის მრავალ შემთხვევასაც ჰქონდა ადგილი.

სადაც მე ვცხოვრობდი, მეზობლად, ერთი გერმანული ოჯახიც ცხოვრობდა. ერთიმეორესთან კარგი დამოკიდებულება გვქონდა, მაგრამ ძალიან ძუნწები იყვნენ, არაფერში დახმარება არ იცოდნენ და არც რამეს გაიმეტებდნენ. მე ერთი ადამიანი ვიყავი და მათ ბევრ რამეში ვჯობნიდი, შრომა იყო თუ სხვა საქმე, სადღეისო საქმეს მეორე დღისთვის არ გადავდებდი.

მის ნაკვეთში, ჩემ მიჯნასთან ახლოს, შევნიშნე ვენახის რამდენიმე ძირი, რომელიც სავსე, დიდი მტევნებით იყო დახუნძლული. ვთხოვე, მეც მომაშენებინე-მეთქი, მაგრამ ისეთი ცივი უარით გამომისტუმრა, ვერ წარმოიდგენ. რადგან უარით გამომისტუმრა, ქურდობა არ მიყვარს, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, ვაზის კალამი ჩუმად გადამეწვინა ჩემ ნაკვეთში.

გავიდა ხანი. როცა ვაზი წამოიზარდა, მაშინღა მიხვდა, რაც გავუკეთე. ამის გამო წამეჩხუბა. იმ დღიდან მოყოლებული, აღარ ველაპარაკებოდით ერთმანეთს.

ჩემ მეზობელ გერმანელს ჰყავდა დედა, ცოლი და ორი შვილი. თვითონ 40 წლისა იყო, მუშაობდა ავტომძღოლად, თუმცა, ხშირად, ალკოჰოლს ეტანებოდა. ზაფხულის ერთ დღესაც, დილადანვე, ნასვამი საჭეს მიუჯდა (სატვირთო ავტომანქანაზე მუშაობდა). მიუხედავად იმისა, რომ მასთან უბრად ვიყავი, მაინც ვთხოვე - არ წასულიყო სამსახურში, დაიღუპები-მეთქი. მაგრამ რუსულად შეიკურთხა: შენნაირ ბებრებს თუ დავუჯერე, ავშენებულვარო.

არ გასულა ორი-სამი საათი, მართლაც მკვდარი მოასვენეს სახლში. დედამისმა იცოდა, რომ გავაფრთხილე და გულდამწვარმა მითხრა: რა იცოდიო.

- მე ათას ჭირ-ვარამ გამოვლილი კაცი ვარ და არაფერი გამომეპარება. გარდა ამისა, რაღაც წინათგრძნობა მქონდა, ხიფათის მოახლოებისა.

მერე მთხოვა, ჩვენ შენსავით ქრისტიანები ვართ, ბარემ რელიგიური წესი აუგეო.

რადგან მთხოვა, სხვა გზა აღარ მქონდა და უსიტყვოდ დავთანხმდი.

იმ ოთახში, სადაც მიცვალებული ესვენა, საკმაო ხალხს მოეყარა თავი, უმეტესად ქალებს. მე წინასწარ გავაფრთხილე, ქართულ ენაზე ავუგებ წესს, რადგან ჩვენს სიტყვებს უფრო გავლენა აქვსო.

- ოღონდ წესი აუგე, გამიპატიოსნე და როგორც გენებოს, ისე იყოსო.

პირჯვარი გადავიწერე. ჭირისუფლებიც იგივენაირად მოიქცნენ. მერე დავიწყე და რა დავიწყე: შე უტვინო, რომ გაფრთხილებდი, არ წახვიდე, დაიღუპები-მეთქი და ბოლოში დავაყოლე - ამინ! ჩემ ნათქვამზე მათაც ერთხმად გაიმეორეს: ამინ!

- ვინც ურჩი და არამზადაა, ასე მოუვა ყველას და... ამინ! დამიდასტურეს ერთხმად.

-აბა, რა ისარგებლე შენი სიავით... და ისევ... ამინ!

-ბოროტი და ძუნწი იყავი და ასეთად დარჩები ხალხის ხსოვნაში ... და ისევ ერთხმად გაისმა ... ამინ!

კიდევ ბევრი რამით „დავამშვენე“, თუმცა, მაინც ვფრთხილობდი, შემთხვევით რუსული უხამსი სიტყვა არ წამომცდენოდა. ქალების უკან ერთი კაცი იჯდა, ჩემს ყოველ სიტყვაზე ჩაეცინებოდა ხოლმე.

როცა „ქართულად წესის აგება“ დავამთავრე, ყველა კმაყოფილი დამრჩა...

გარეთ გამოვედი თუ არა, ის კაცი მომიახლოვდა და მითხრა: ეს რა ჩაიდინე, რა სიტყვებით შეამკე მიცვალებულიო (თურმე მას საქართველოში დიდხანს უმუშავია და, რა თქმა უნდა, ქართულიც ესმოდა).

მეც დაწვრილებით ავუხსენი საქმის ვითარება და ორივემ დიდხანს ვიხალისეთ.

**ანტონ ბალახაშვილი,**
ადიგენი, სოფელი უდე

## მესხური გამონათქვამები

მშიერი და ტიტველი მდიდარზე მხიარულიაო;

*

ბოზობა და ქურდობა ცხრა დღეზე მეტ ხანს არ დაიმალებაო;

*

ჯავახეთის ჭკვიანთან ჭკვიანი არ მიდგება, სამასთანაც სამაო;

*

შენ ჯამში თუ შენვე ჩააფურთხე, სხვა უარეს იზამსო;

*

ტილიანმა მუწუკიანზე გაიცინაო;

*

ყველაფერს თვალი ეცემა, ჭკუას არაო;

*

ყველა ყველას არგია, მუცელი მუცელს არაო.

**შეკრიბა ელდარ ზაზაძემ**
**ტოლოში**

**გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scribd.com; facebook: ლიტერატურული მესხეთი**

**გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი**

**დამფუძნებლები:** შოთა რუსთაველის სახალხო მუზეუმის აღორძინების რესპუბლიკური ფონდის სახელით და კერძო პირის სტატუსით **ავთანდილ ბერიძე;**
**საქართველოს მწერალთა კავშირის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული განყოფილება,**
ა(ა)იპ-ი ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17**

ქ. თბილისში გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ შეძენა შეგიძლიათ თავისუფლების მოედანზე – ალ. პუშკინის ქ. №5–ის წინ, მეტრო „თავისუფლების“ გამოსასვლელთან და საქართველოს რაიონებში – „საქპრესის“ ჯიხურებში

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა „კოლორ-პრინტში“
**მისამართი: ქ. თბილისი,**
საბურთალოს 43ა
ტელ: 2–93–27–66

**რედაქტორი** ავთანდილ ბერიძე
**სარედაქციო საბჭო:**
**მერაბ ბერიძე, დურმიშხან ბერიძე, რამაზ ბერაძე, ვახტანგ ინაური**

**გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. “საარის” სტამბაში.**
**მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.**
**ტელ: 2 94-14-32**

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 99 97 95 24,
lit_meskheti@yahoo.com